# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 15 დეკემბერი 1995 № 83 (221) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანი ერთია — საფრანგეთი!

**ჩვენი მეტოქეები:**

**იტალია**
**ინგლისი**
**პოლონეთი**
**მოლდოვა**

მეორე გვერდზე იხილეთ რეპორტაჟები:

**პარიზიდან**
წილისყრა კინაღამ ჩაიშალა

**კიშინიოვიდან**
იონ კარასი: ქართველებთან მოგებას ნუღარ მომთხოვთ!

**ლონდონიდან**
ნიკ ბარმბი თუ ვარნკვლავია, მაშ ქინქლაძე ვინღაა?



პარიზიდან ახალდაბრუნებული საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე სასაუბროდ ხუთიოდ წუთით მოვიხელთეთ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის და მასში ჩვენი ნაკრების მონაწილეობის შესახებ კვლავაც ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ, ცხადია, მკითხველს ამჯერად ყველაზე მეტად ეროვნული გუნდის თავკაცის პირველი კომენტარი დააინტერესებს.

— ნაკრებს ამოცანად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას დავუსახავთ. სწავლისა და გამოცდილების შეძენის დრო წარსულს ჩაბარდა.

**— დიდი მნიშვნელობა ექნება კალენდარს. როდის დადგინდება თამაშების განრიგი?**

— დაახლოებით 17 იანვრისთვის შევიკრიბებით ჩვენი ჯგუფის ნაკრებთა ხელმძღვანელები და იქ გადავწყვეტთ, ვინ ვის, სად და როდის ვეთამაშებით. მანამდე ფაქსების მეშვეობით შევათანხმებთ საკითხებს. რაც შეეხება შეკრების ადგილს, პოლონელებს ძლიერ სურთ, რომ მათთან შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ იგივე უნდათ ინგლისელებსა და იტალიელებს, ასე რომ, ეს ჯერ გასარკვევია.

**— კენჭისყრამდე ორი დღით ადრე დამტკიცდა შეჯიბრების ჩატარების უეფასეული ვარიანტი. არადა, იტალიელთა და ინგლისელთა მწვრთნელებმა არიგო საკიმ და ტერი ვენებლზმა განაცხადეს, ფიფას პროექტი გვერჩივნაო. თქვენ რას იტყვით?**

— მეც ფიფას ვარიანტი უფრო მომწონდა. შვიდი შვიდ-შვიდ გუნდიანი ჯგუფის შექმნა უკეთესი იქნებოდა.

**— ფიფამ გუნდებს ნება დართო, ევროპის ჩემპიონატამდე, გაისად აპრილიდან დაიწყონ შესარჩევი თამაშები. ჩვენ რას ვაპირებთ?**

— ევროპის ჩემპიონატამდე თამაში ხელს არ მოგვცემს. სექტემბრამდე შესარჩევ შეხვედრას არ დავნიშნავთ.

**— მოლაპარაკებისას, ალბათ, მეტოქეებს კალენდრის თქვენეულ ვარიანტს წარუდგენთ. რა იქნება ჩვენთვის საუკეთესო დასაწყისი, მოლდოვასთან შინ შეხვედრა?**

— ცუდი აზრი არ არის.

**— ცხადია, ამხანაგურ შეხვედრებსაც გეგმავთ.**

— ბევრ ქვეყანასთან გვაქვს ამის თაობაზე მოლაპარაკება. ამხანაგური შეხვედრები დიდ მნიშვნელობას შეიძენს, რადგან შესარჩევ ციკლში მხოლოდ რვა თამაში გვიწევს.

**— პირველ ოფიციალურ მატჩამდე, ანუ, როგორც ჩანს, გაისად სექტემბრამდე, რამდენი ამხანაგური მატჩის ჩატარება იქნება ოპტიმალური?**

— ეს კალენდარზე იქნება დამოკიდებული. 1996 წელს შეიძლება ორი, სამი ან ოთხი ოფიციალური თამაში მოგვიწიოს, ფეხბურთელების გამოძახების ნება კი, მოგეხსენებათ, შვიდ შეხვედრაში გვაქვს...

**— ჩვენი ჯგუფის გარდა, თქვენი აზრით, რომლებია რთული?**

— პირველი, სადაც დანია, საბერძნეთი, ხორვატია, სლოვენია და ბოსნია თამაშობენ და მეექვსე: ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და იუგოსლავია რომ არიან.

**— გაისად, ზაფხულს, ინგლისში ევროპის ჩემპიონატია. იქ ჩვენი ორი მეტოქე იტალია და ინგლისი გამოვა. დასწრებას აპირებთ?**

— დიახ, ევროპის ჩემპიონატს დავესწრები. მეტოქეების უშუალოდ ხილვა ძალზე მნიშვნელოვანია.

# დაიხსომეთ ეს დღე და ეს საათი!

წილისყრამ მთელი საქართველო ააფორიაქა, ვის ვინ ემეტებოდა ჩვენი ნაკრებისათვის, ვინ პროგნოზს აკეთებდა, ვინაც სანაძლეოს დებდა. წილისყრის წინ ციებ-ცხელებამ ჩვენც აგვიყოლია და რედაქციაში სანაძლეოებიც დაიდო, ვინ მეტ გუნდს გამოიცნობდა. ჰოდა, ერთადერთმა მამუკა კვანტალიანმა ერთადერთი მონაწილე მოლდოვა გამოიცნო და ოჯახური ბიუჯეტიც შეავსო. მოლდოვაზე უმალ ირაკლი ზოიძე გაგვახსენდა? ახლახან რომ გვითხრა, ოღონდ ეგენი არაო და...

**— ირაკლი, გეშველება რამე მოლდოველებთან?**

— ძალიან კი არ მინდოდა, მაგრამ რაკიღა შეგვხვდნენ, ორივე თამაში უნდა მოვუგოთ. მოვუგებთ კიდეც და გავსწორდებით...

**— ახლა ყველა მოერიდება პროგნოზს და ალბათ ერთსა და იგივეს იტყვიან — ინგლისია, ძმაო... ეჰ, რაღა იტალია შეგვხვდა... პოლონელებს ვოზნიაკი ჰყავთ... შენ როგორ შეაფასებ ჩვენს შანსებს?**

— მე საქართველოს ნაკრების წარმატებაში ასიდან 50 პროცენტს ვიძლევი.

**— ქულებს ხომ ვერ დაგვიკონკრეტებ?**

— რატომაც არა! მოლდოვას აქაც და იქაც ვუგებთ — ეგ ექვსი ნაღდი ქულა. ინგლისს შინ უეჭველად მოვუგებთ. ესეც ცხრა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პოლონეთს შინაც დავამარცხებთ და სტუმრადაც, თხუთმეტი ქულა ნაღდი გამოდის. აი, იტალია კი... მოკლედ ჩვენი მაქსიმუმი ამ ჯგუფში — 18 ქულაა.

**— შენს ამასწინანდელ პროგნოზში ერთი ქვეყანა — ინგლისი გამოიცანი. გინდოდა თუ მხოლოდ ვარაუდი იყო?**

— სწორედაც რომ მინდოდა! ქართველ ფეხბურთელებს, ნაკრები იქნება, თუ „დინამო", ბრიტანელებთან კარგად გამოგვდის თამაში. მოკლედ მათი სტილი ვიცით.

**— ახლა ამაზე მიპასუხე: საფეხბურთო წრეებში ძალზე პოპულარულია ვერსია, რომ ევროპის ჩემპიონატის ეს ციკლი ჩვენმა ნაკრებმა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენა.** ჩვენი ჯგუფის შემხედვარემ, ზოგმა იქნებ ახლაც თქვას, ისეა საქმე, ვერც ახლა გავალთ და მოდი მომდევნო 2000 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მოვემზადოთო. ნუთუ გამოცდილებისთვის ეს ციკლი არ კმაროდა?

— რა თქმა უნდა, კმაროდა. ვერ წარმოიდგენ, რამხელა გამოცდილება შეგვძინა გერმანელებთან და ბულგარელებთან თამაშმა. ვფიქრობ, დროა სერიოზული მიზნები დავისახოთ, ჩვენ შეგვწევს ამის ძალა...

მურთაზ შელია უფრო პრაქტიკულად მიუდგა საქმეს, მაგრამ ისიც მეტად იმედიანი გვეჩვენა.

— იტალია გამოვიცანი. ისე ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, უძლიერესი ჯგუფია. სჯობდა ექვსგუნდიანში მოვხვედრილიყავით.

**— უიმედობა ხომ არ მოგეძალა?**

— არავითარ შემთხვევაში. ინგლისი არაა ის გუნდი, ვერ მოუგო, ეგაა, უელსზე ოდნავ ძლიერია. იტალია აშკარა ფავორიტია, პოლონეთმაც მოუმატა ამ ბოლო დროს, მაგრამ ჩვენ ყურებს ხომ არ ჩამოვყრით?! ჩვენ აწი უფრო ძლიერად ვითამაშებთ.

**— შანსებს როგორ აფასებ?**

— ორმოცდაათი პროცენტი ჩვენს გასვლაზე.

**— ქულებსაც ხომ ვერ იანგარიშებ?**

— მოლდოვას ძალიან გავამწარებთ — ექვსივე ქულას წავართმევთ. ინგლისთან შინ სამ ქულას ვგეგმავ, პოლონეთთანაც, იტალიასთან კი ფრედ ვითამაშებთ. ამას დაუმატეთ მინიმუმ ფრე სტუმრად პოლონეთთან და 14 ქულა გამოდის. 14 ქულა ჩვენი მინიმუმია, რაც უეჭველად უნდა დავაგროვოთ.

**— 14 ქულა ჯგუფიდან ვერ გაგვიყვანს...**

— ეს დღე და საათი დაიმახსოვრეთ. მე, მურთაზ შელია გეუბნებით, რომ მოვიდა ის დრო, წარმატებებზე ვიფიქროთ...

კახი გოგიჩაიშვილს იტალია არ ეჭაშნიკებოდა და მაინცდამაინც „სკუადრა ადზურასთან" მოვხვდით...

— კახი, სწორედ იტალია რატომ არ გინდოდა ასე ძალიან?

— იტალიასთან თამაში ყველაზე ძნელია, მაგრამ რას ვიზამთ, რაკი ასე მოხდა, უნდა ვითამაშოთ.

**— როგორ უნდა მოვუგოთ იტალიას და ინგლისს?**

— განწყობით! მთავარია განწყობა. თუკი ისე გამოვედით სათამაშოდ, როგორც შინ გერმანიასთან, სჯობს სულ არ გამოვიდეთ. რა განწყობითაც გამოვალთ, იმ შედეგსაც მივაღწევთ.

**— რამდენ ქულას დავაგროვებთ?**

— მინიმუმ 15-16-ს.

**— მოლდოვაზე რას იტყვი?**

— მოლდოვას ვინღა უყურებს! ორივე მატჩს მოვუგებთ. ისე ერთის მხრივ კარგია, ინგლისი რომ ჩვენთანაა. ბრიტანელებთან თამაშს რა სჯობია.

**— შენი აზრით, გამოცდილება თუ დავაგროვეთ საკმარისი?**

— ეგ უკვე აღარაა სალაპარაკო. გამოცდილებაზე ლაპარაკი უკვე სირცხვილიც კია. ჩვენები ევროპას მოედნენ, ხომ ხედავ რა გუნდებში თამაშობენ. გერმანიას, ბულგარეთს, უელსს ორ-ორჯერ ვეთამაშეთ, ამაზე მეტი გამოცდილება საღლა უნდა მიიღო. მოვუგეთ ბულგარეთს... არა ამაზე საუბარიც კი უაზრობად მიმაჩნია. გამოცდილება საკმარისი გვაქვს.

**— გასვლის შანსებს როგორღა შეაფასებ?**

— ორმოცდაათი პროცენტი ორმოცდაათის წინააღმდეგ. მაგრამ ეს დაიმახსოვრეთ — მთავარი თამაშისწინა განწყობაა!

რამაზ შენგელია ძალიან ოპტიმისტი გამოდგა: „რა მოხდა მერე, იტალია და ინგლისი რომ შეგვხვდა? ყურებს ხომ არ ჩამოვყრით. საერთოდ, მოგეხსენებათ ქართულ ფეხბურთს სამხრეთ-ამერიკულს ადარებენ, თანაც, დავინახეთ, რომ ბრიტანელებთან მოგება შეიძლება. ამის მაგალითი იყო უელსის ნაკრებთან ჩვენი ორი მოგება. ინგლისელებიც ასეთივე სტილით თამაშობენ — საკმაოდ ერთფეროვნად, ასე რომ გამარჯვებაზე ფიქრი სულაც არ იქნება არარეალური. ესე იგი, შანსებიც გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ბულგარელებს მოვუგეთ".

ვლადიმერ პანოვი, ნაკრების მწვრთნელი: „ამას რა კომენტარი სჭირდება, ერთ-ერთი, თუ ყველაზე არა, ძლიერი ჯგუფია. იტალიასა და ინგლისზე რომ არაფერი ვთქვათ, პოლონეთიც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. პარიზში ფრანგებმა ძლივს მოუგეს, ბოლო წუთებზე ჯორკაეფს რომ არ ეყოჩაღა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა შეხვედრა.

**— ეს გასაგებია, რომ ძლიერი გუნდები შეგვხვდა, მაგრამ რა ვქნათ? წინასწარ დამარცხებისთვის ხომ არ მოვემზადოთ?**

— არა, კაცო, რომელ წინასწარ დამარცხებაზეა ლაპარაკი?! შანსი იქით არ ექნება იტალიას, თუკი ჩვენ აუტსაიდერად ჩაგვთვლის. გააჩნია, თამაშებისთვის როგორ მოემზადებიან. თითოეულ შეხვედრაში ბრძოლა იქნება. ჩვენთან ნებისმიერს შეუძლია ქულა დაკარგოს. ჩვენ პოტენციალს ევროპაში ყველა გრძნობს და აფასებს. ამიტომ ყველა საქართველოს ნაკრებისგან სენსაციას ელის, რასაც ვერ ვიტყვი მოლდოველებზე. ამათი ხომ ჯინი გვჭირს. ის ორივე წაგება ნამდვილად არ იყო კანონზომიერი და ეს მათ უნდა დავუმტკიცოთ.

**— ხომ შეიძლება, ერთი გარემოებაც გავითვალისწინოთ: როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ციკლი დაიწყება, იტალიელები და ინგლისელები ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მთლად სასურველ ფორმაში ვერ იყვნენ...**

— საერთოდ, მათ დასაწყისისთვის დასვენების საშუალებას მისცემენ და შედარებით სუსტები შეხვდებიან ერთმანეთს. ასე, რომ ამ ფაქტორს გამოვრიცხავ.

მიხეილ ყაველაშვილი: — სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენს შანსებზე ჯერ სერიოზულად არც დავფიქრებულვარ, თუმცა ისიც შეიძლება ითქვას — შანსი ყოველთვის არის. მით უმეტეს, რომ საკმაო გამოცდილებაც მივიღეთ. მარტო სახელი არ წყვეტს თამაშის ბედს. ეს წინა შესარჩევმა ციკლმაც დაგვანახა.

**— რას ფიქრობ, ინგლისთან უფრო შეიძლება მეტის მიღწევა თუ იტალიასთან?**

— მე მგონი, რომ ინგლისთან. რაც უნდა იყოს, ამათთან ტრადიციულად გვიადვილდება თამაში. თანაც იტალია ინგლისზე ძლიერია.

**— ჩვენ დამაქცევრებზე რაღას იტყვი?**

— მოლდოველებს ბოლოს მოვუღებთ! მაგათ დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებ. იმ ორმა მარცხმა ცუდად იმოქმედა ჩვენზე და სხვა გრძნობით ვეთამაშებით.

ალექსანდრე იაშვილს მსოფლიოს გრანდების სულაც არ შინებია:

— საინტერესო ჯგუფია. მართალია, ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ თამაში ყველასთან შეიძლება. ბულგარელებთან გამარჯვების შემდეგ ვირწმუნე, რომ ნებისმიერ გუნდთან შეგვიძლია ბრძოლა. სანერვიულო და თავშისაცემი არაფერია, მთავარია სწორად შეფასდეს ჩვენი და მეტოქეების ძალები, ნაკრები ნორმალურად მოემზადოს და შედეგიც იქნება.

**— რომელ ჯგუფში ისურვებდი მოხვედრას?**

— ახლა რომ ვიწუწუნოთ — ნეტა სხვა ჯგუფში მოვხვედრილიყავითო — ვითომ საქმეს ეშველება? ჩემი აზრი ასეთია: იმ ჯგუფში მოვხვდით, რომელშიც უნდა მოვხვედრილიყავით. თუ რამის დამტკიცებას და თავის გამოჩენას ვაპირებთ, სწორედამ ჯგუფში უნდა ითქვას სათქმელი, მით უმეტეს, რომ ეროვნულმა ნაკრებმა ასეთი დონის მატჩებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება უკვე მიიღო.

# წილისყრა კინაღამ ჩაიშალა!

ზურაბ კაჭკაჭიშვილი,
პარიზიდან

FRANCE 98

ფიფას თავისნათქვამა პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა წილისყრის ჩატარება საბოლოოდ მაშინღა ბრძანა, ფრანგმა ჩინოვნიკებმა უკან რომ დაიხიეს და ნიგერიის ფეხბურთის თავკაცებს თავიანთ ქვეყანაში შესვლის ნება დართეს. ეს რომ მოხდა, ლუვრში ცერემონიალის დაწყებამდე საათი და ოცი წუთღა-იყო დარჩენილი. ნიგერიელები, ალბათ, უკვე პარიზის აეროპორტში ისხდნენ, თორემ, აბა, ოთხმოც წუთში სამშობლოდან ჩამოფრენას როგორ მოასწრებდნენ, ან აველანჟის ასეთ გამარჯვებას რაღა აზრი ექნებოდა. კონფლიქტის არსი ის გახლდათ, რომ ევროკავშირის სანქციათა თანახმად, საფრანგეთის შესაბამისმა სამსახურმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნიგერიელებს ვიზა არ მისცა. ევროკავშირი კი აფრიკის ამ ქვეყანაში გამეფებული სამხედრო რეჟიმის მიერ ცხრა ბუნების დამცველის ჩამოხრჩობამ ალაშფოთა. ის ბუნების დამცველები ნიგერიის ნავთობით მდიდარი ერთ-ერთი რაიონის მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ. ჩამოხრჩობილთა შორის იყო ცნობილი მწერალი კენ სარავივა. რომ შეიტყო, ნიგერიელებს ვიზას არ აძლევენო, აველანჟმა ფრანგებს შეახსენა — 1991 წელს, ჩემპიონატის ჩასატარებლად განაცხადი რომ შეჰქონდათ, პირობას დებდნენ, უკლებლივ ყველა ღონისძიებაზე დასასწრებად ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს დაუბრკოლებლად შეუშვებდნენ ქვეყანაში. აველანჟმა განაცხადა, რომ ფიფა მხოლოდ გაეროს სანქციებს ცნობს, ევროკავშირისას კი არა. საქმე ბოლო წუთებში მოგვარდა, თორემ მსოფლიო ფეხბურთის ბრაზილიელი თავკაცი წილისყრის ჩაშლასა და ფიფას აღმასკომის სხდომის შემდეგ მის სხვა ქვეყანაში ჩატარებას აპირებდა.



არის კიდევ ერთი კონფლიქტი. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის — კონმებოლის რჩევით თუ დაბეზღებით ფიფამ ბოლივიის ნაკრებს დედაქალაქ ლა-პასში თამაში აუკრძალა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ქალაქი, ისევე როგორც ამ ქვეყნის დიდი ნაწილი, ზღვის დონიდან სამი ათას მეტრზე მაღლაა, რაც მსოფლიო ფეხბურთის მესვეურთა რწმენით, მოთამაშეთა ჯანმრთელობას ვნებს. ფიფას გადაწყვეტილებამ ალაშფოთა ბოლივიის პრეზიდენტი გონზალო სანჩეს დე ლოზეტო. მან განაცხადა, რომ ლა-პასის გარეთ ფეხბურთს ცოტა მაყურებელი დაესწრება, თანაც, თუკი ბრაზილიელებს რესიფსა და სხვა უცხელეს ქალაქებში თამაშის ნებას რთავენ, არც ბოლივიის დედაქალაქის სიმაღლეს უნდა შეეშინებინა ვინმე. მისი თქმით, ბოლივიის ნაკრები შედარებით სუსტი გუნდია, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე სულ ერთხელ მოხვდა და ამდენად სიმაღლის რაღაც მიზანმიმართულ „გამოყენებაზე“ ლაპარაკი უსამართლობაა.

სხვამხრივ წილისყრამ მშვენივრად ჩაიარა. ერთი ეგაა, ჟორჟ ვეას, იტალიის ნაკრების ჯგუფის ნომრად ორიანი რომ არ ამოეღო და საქართველოს გუნდს, ვთქვათ, ნორვეგია შეხვედროდა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა. ისე კი, იქნებ ძლიერებთან ბრძოლა სჯობდეს — გამარჯვებაც ხომ უფრო ვაჟკაცური იქნება და დამარცხებაც.

აქ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები საფრანგეთის მეტრანსპორტეთა გაფიცვის დამთავრების შემდეგ კვლავ სრული ძალით გააგრძელებენ საქმიანობას — წინ მსოფლიოს ჩემპიონატია!

# ჩივაძე დაგვემუქრებია

არკადი ზაპოროჟანუ, გაზეთ
„ფუტბოლ ჰებდოს“ რედაქტორი
კიშინიოვიდან

FRANCE 98

ოთხშაბათს მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს ჩვენი ფეხბურთის თავკაცმა კონსტანტინე ტამპიზამ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იონ კარასმა. ტამპიზას თქმით, ბუნებრივია, უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ თუკი იტალიასთან და ინგლისთან არაფერი გამოგვივა, ქართველებთან და პოლონელებთან ქულებს გავიყოფთო. რაც შეეხება იონ კარასს, საქართველოსთან მოგების მერე მან მოგვცა ვრცელი ინტერვიუ, რომლის ტექსტში იყო სიტყვები „საშენკა, პროსტი ნას...“ რაც სათაურადაც გამოვიყენეთ. ამ ინტერვიუში კარასმა თქვა, მეტი აღარ მინდა ამ ქართველებთან შეხვედრაო. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა უმალ ეს სიტყვები მოვაგონეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს. რაკი ბედმა ისევ ერთად მოგვახვედრა, რაღას ვიზამთ, ისევ ბრძოლას გავუმართავთ ქართველებს, მაგრამ მოგების-იმედი ნულა გექნებათო, განგვიცხადა კარასმა და ესეც დასძინა: ამ უძლიერეს ჯგუფში მოლდოვა ერთადერთია, რომელიც ჯგუფიდან გასვლას არ ისახავს მიზნად, დანარჩენი ოთხეული კი, ბუნებრივია, გასვლისთვის იბრძოლებს. მოლდოვა კი იმას შეეცდება, რომ მათთან თამაშის მერე ყველამ თქვას: „მალ, და უდალ“-ო. კითხვას, რამდენ ქულას დააგროვებს მოლდოვა ამ ჯგუფში — კარასმა თავია არიდა და ეს გვითხრა: ახლა არარეალურია ჯგუფიდან გასვლაზე საუბარი, ეს ციკლი მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ნაკრების საშუალო ასაკი ტურნირის დაწყებამდე 24,5 წელი იყო, დამთავრების დროს კი 25,5. მე ნაკრების გაახალგაზრდავება მსურს და ამას ამ ციკლშივე ვიზამ. იტალია და ინგლისი კი არიან აშკარა ფავორიტები, მაგრამ ჩვენ ქართველებთან უფრო გაგვიჭირდება, აქ მარტო ოსტატობა არ იქნება გადამწყვეტი, ფსიქოლოგიურადაც ძალზე გაგვიჭირდება ქართველებთან თამაშიო... კარასმა დაახლოებით ასეთი თქვა: ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვექნება ქართველებთანო.

მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე კონსტანტინე ტამპიზა კი, თბილისში გამარჯვების მერე ღვინის ბოცით რომ დაგვხვდა აეროპორტში, სიხარულით ცმუკავდა: ასეთ შემოსავლიან ჯგუფს ვერც ვინატრებდით, კიდევ კარგი, რუსეთი რომ არ შეგვხვდაო.

პარიზში კენჭისყრაზე ჩვენმა ფედერაციამ ნაკრების მთავარი მენეჯერი იონ კანცერი მიავლინა. კენჭისყრის მერე მას უმალ კარასისთვის დაურეკია და უთქვამს: წილისყრა რომ ჩათავდა, ალექსანდრე ჩივაძეს შევხვდი და ასე მითხრა, ბოღმიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, თქვენთან შეხვედრა როგორ გამიხარდა, მადლობა ვეას და ბლატერს, ერთ ჯგუფში რომ მოგვახვედრეს. ახლა რევანში უნდა ავიღოთ, წაგება სასტიკად არ მიყვარსო.

მოლდოვური გაზეთები კიშინიოვში ქართველებთან მოგების შემდეგ სამი დღე საქართველოზე წერდნენ. გამოაქვეყნეს ჩივაძის, ქინქლაძის, კოტე მახარაძის ინტერვიუები. ამიტომ კენჭისყრის მერე ძირითადი ყურადღება იტალიას და ინგლისს დავუთმეთ. ჩემი პირადი პროგნოზი კი ისეთივეა, თბილისში რომ გითხარით — საქართველო ჩვენთან ექვს ქულას აიღებს...

# ქინქლაძეს რევანშზე ფიქრობს

დავით მჭედლიშვილი,
ლონდონიდან

FRANCE 98

ჩვენს ნაკრებს ძნელი ამოცანა ელის — მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს აქაური პრესის აზრი წილისყრის შესახებ. ინგლისელთა მთავარ მეტოქედ უპირველესად, რასაკვირველია, ყველა იტალიას ასახელებს, თუმცა არც დანარჩენებს მიიჩნევენ საჩუქრად. ინგლისელთა მწვრთნელის ტერი ვენეიბლზის პირველი კომენტარი ასეთი იყო: „ძალზე ძნელი ჯგუფია, მაგრამ მაინც პირველ ადგილზე უნდა გავიდეთ, რათა მეორეადგილოსანთა ფლეი-ოფი თავიდან ავიცილოთ. უმთავრესი მეტოქე, რა თქმა უნდა, იტალიაა. სახიფათონი არიან მოლდოვა და განსაკუთრებით უელსის გამანადგურებელი საქართველო. პოლონეთი კი... დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გუნდი აუცილებლად შეგვხვდებოდა — შესარჩევი ტურნირი არ გვითამაშია, პოლონეთმა ნერვები რომ არ დაგვაწყვიტოს.“

ვენეიბლზის დარად, ინგლისური გაზეთები ჩვენს ნაკრებს სწორედ რომ „უელსის გამანადგურებლად“ მოიხსენიებენ (და არა, ვთქვათ, „ბულგარეთის მძლეველად“). „თაიმზი“ საქართველოს ნაკრების დახასიათებისას საბჭოურ პერიოდსაც იხსენებს და წერს, თბილისის „დინამო“ საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო და ამ ქვეყანაში ფეხბურთის დიდი ტრადიციებიაო. „დეილი ტელეგრაფი“ ჯგუფის დახასიათებისას ვენეიბლზს აფრთხილებს, რომ საქართველოს ნაკრებს ზერელედ არ მოეკიდოს, თუმცა იქვე მიიჩნევს, რომ უელსის 5:0 დამარცხებაც კი არ ნიშნავს, რომ ინგლისს საქართველოსთან თამაშში რაიმე სერიოზული პრობლემა შეექმნეს, გარდა ენერგეტიკულ კრიზისში მყოფ და არეულ-დარეულ ქვეყანაში სტუმრობისა. მოკლედ, ჯერჯერობით ინგლისური პრესა მხოლოდ ზერელედ აფასებს მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრას და ეს გასაგებიცაა — ყველას საფიქრალი ჯერ მაინც ევროპის ჩემპიონატია, რომლის წილისყრაც კვირას ბირმინგემში შედგება. ინგლისელ ჟურნალისტებს, ცხადია, არც გიორგი ქინქლაძე დავიწყნიათ. პარიზის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ტელევიზიის რამდენიმე არხმა გადასცა გიოს თამაშის ფრაგმენტები. ბევრ ჩვენს ინგლისელ კოლეგას სურდა ნოემბრის თვის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელთან საუბარი, მაგრამ ინტერვიუსთვის საჭირო ინგლისური გიომ ჯერ არ იცის. მე კი, რასაკვირველია, პრობლემა არ მქონია.

— გიო, გილოცავ თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებას...

— გმადლობთ. საერთოდ, ამ დღეებში რამდენიმე სასიხარულო ამბავი შევიტყვე: თვის საუკეთესო ფეხბურთელად მალიარეს, „ასტონ ვილასთან“ გატანილი გოლი სხვა ცხრა გოლთან ერთად თვის საუკეთესო გოლის გამოსავლენ კონკურსში იღებს მონაწილეობას და, რაც მთავარია, დედაჩემმა, ბოლოსდაბოლოს, გადალახა ბიუროკრატიული წინაღობები, ინგლისის ვიზა მიიღო და ხვალ მანჩესტერში ჩამოდის.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ არა მგონია, წილისყრას გაეხარებინე...

— რატომ? ძალიანაც გამიხარდა, როცა კვლავ მოლდოველები აღმოჩნდნენ ჩვენს ჯგუფში. ერთი სული მაქვს, როდის დავაყენებთ თავის ადგილზე. მაგათთან ახლაც თუ დავმარცხდით, საშველი აღარ ყოფილა. აი, იტალიამ კი ჩამაფიქრა. გულახდილად გეტყვი — არა მგონია, მაგათთან რამეს მივაღწიოთ. პოლონეთის ნაკრებზე თითქმის არაფერი ვიცი, ინგლისზე კი... თითქმის ყველაფერი. ასე რომ, მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ამაში არარეალურს ვერაფერს ვხედავ.

...გიოზე ნაკლებად არც მე გამხარებია წილისყრის შედეგები — ახლა იმ დღეს ველოდები, როცა საქართველოს ნაკრებს „უემბლიზე“ ვუქომაგებ. მანამდე კი იმას გპირდებით, რომ ინგლისის ნაკრების არცერთ თამაშს „სარბიელის“ მკითხველს არ გამოვაპარებ. დასტურად წილისყრის დამთავრებიდან ერთ საათში დაწყებული მატჩის რეპორტაჟი ჩათვალეთ.

### ინგლისი 1:1 პორტუგალია

ინგლისი: სიმენი, ნევილი, პირსი (ლე სო 79), ვაიზი (მაკმანამანი 79), ადამსი, პაუი, ბარმბი (საუთგეიტი 79), გესქოინი, შირერი, ფერდინანდი (ბერდსლი 65), სთოუნი

პორტუგალია: ნენუ, სეკრეტარიუ, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმასი, პელდერი, სოუზა (პაულუ ალვეში 46), ჟოაო პინტუ (დანი 60), ფიგუ (დომინგუში 46), ფოლია (პედრო 67), ზა პინტუ

გოლი: სთოუნი (44), პაულუ ალვეში (58)

გაფრთხილება: ჟორჟე კოშტა

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

უემბლი. 18 592 მაყურებელი

ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე ამხანაგურ მატჩებს მხოლოდ შინ გამართავს, რათა სტუმრად ვინმე ხულიგანმა გულშემატკივარმა ულირსი არაფერი ჩაიდინოს და ამის გამო ჩემპიონატის ინგლისში გამართვა საეჭვო არ გახდეს. სამშაბათს პორტუგალიელთა წინააღმდეგ ვენეიბლზმა დევიდ პლატის გარდა ყველა კანდიდანტი იხმო და თითქმის ყველა ათამაშა — მხოლოდ მეკარე ფლაუერსი იჯდა ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე, სტუმრების შემადგენლობას კი, ფიგუსა და მისთანების ყოფნის მიუხედავად, ოპტიმალური მაინც არ ეთქმოდა, ვინაიდან ირლანდიასთან ბოლო შესარჩევ მატჩში მონაწილე ექვსი ფეხბურთელი აკლდა. ამიტომაც პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. დროდადრო ინგლისელები მათთვის არატრადიციული მოკლე პასებით და იშვიათი დრიბლინგით ბურთსაც „უმალავდნენ“ ტექნიკურ პორტუგალიელებს, მაგრამ რეალურ მომენტებამდე საქმე მაინც ვერ მიჰყავდათ. პირველი ტაიმის კულმინაციური მომენტი 35-ე წუთი იყო — მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთისთვის ნიუკასლელი ლეს ფერდინანდი, მეკარე ნენუ და მცველი სეკრეტარიუ ახტნენ და ინგლისელმა, გარეგნობა-აღნაგობით ახალზელანდიელ მორაგბე ლომუს რომ ჩამოჰგავს, დაამტკიცა, რომ არც ჯანი აქვს ჯონაზე ნაკლები: მცველი და მეკარე ერთმანეთს ისე მიანარცხა, ორივე მოსაბრუნებელი გახადა. ნენუს მოსულიერებას ორიოდ წუთი დასჭირდა, სეკრეტარიუს კი თავი გაუტყდა, სისხლი წამოუვიდა და დროებით მოედნის მიღმა დაასვენეს. სანამ ეს იქ მკურნალობდა, ჯერ „მიდლსბროს“ ბომბარდირმა ნიკ ბარმბიმ („ბარმბი თუ ვარსკვლავია, მაშ ქინქლაძე ვინღა არისო?“ — კითხულობდა გუშინდელი „თაიმზი“), მერე კი ფერდინანდმა სახიფათოდ დაარტყეს, მაგრამ ნენუ გონს საბოლოოდ მოგებულიყო. თავშეხვეულმა სეკრეტარიუმ თამაში კი განაგრძო, მაგრამ ვერც ამან და ვერც მისმა კოლეგებმა მასპინძლებს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალეს: ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ფერდინანდმა ჟორჟე კოშტას დაასწრო, ბურთი მუხლით სტივ სთოუნს დაუგორა და ამანაც 17 მეტრიდან ანგარიში გახსნა.

ორიოდ სიტყვა სთოუნზე. „ნოტინგემ ფორესტის“ ამ ნახევარმცველს ბრიტანეთში დიდ პატივს სცემენ. ამას ადრე თურმე სამჯერ მოუტეხია ფეხი, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა და ცოტა ხნის წინ ეროვნულ ნაკრებშიც ჩაირიცხა. მოვლენებს გავასწრებ და გეტყვით, რომ სწორედ სთოუნი აღიარეს ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, ისევე, როგორც წინა ამხანაგურ მატჩში შვეიცარიასთან.

... მეორე ტაიმში მწვრთნელებმა, აბა, ყველა გამოვცადოთო, მხოლოდ სათადარიგო მეკარეები დატოვეს უსაქმოდ. შემცვლელებში უფრო პორტუგალიელებმა იმარჯვეს და სწორედ სოუზას მაგიერმა პაულუ ალვეშმა გაათანაბრა ანგარიში — გამოსვლიდან 13 წუთში ბურთი იმავე კუთხეში გაიტანა, რომელშიც სთოუნმა. მერე თამაში საკმაოდ ქაოსური გახდა — სტუმრები უფრო მწვავედ უტევდნენ, მასპინძლები კი ჩვეულ გრძელ პასებზე გადაერთვნენ, თან სთოუნიც ოდნავ გადაეღალათ და ამიტომ იყო, სახიფათო მომენტი ერთხელღა შექმნეს — ნაკრების დებიუტანტმა საუთგეიტმა თაურით ბურთი ძელს გაარტყა.

EURO 96
England

გუშინწინ კი აქვე, ოღონდ ლივერპულში ევროპის ჩემპიონატის მეთექვსმეტე ფინალისტიც გაირკვა: ჰოლანდიამ პატრიკ კლუივერტის გოლებით ლამის მასპინძლები ირლანდიელები 2:0 დაამარცხა.

# Stoichkov ci avverte «Attenti alla Georgia»

DAL NOSTRO INVIATO

PARIGI — «Italia, che fortuna». Parole e musica di Lalas, non ditelo a Sacchi: potrebbe offendersi.

წილისყრის მეორე დღეს „გაძეტა დელო სპორტში“ ხრისტო სტოიჩკოვმა იტალიელებს მოუწოდა: „უფრთხილდით საქართველოს“. ამავე გაზეთის ცნობით, გიორგი ქინქლაძის პერსონით თვით „მილანიც“ დაინტერესებულა!

# ჯონათან ედვარდსი:



# ვინ ვარ მე?

**ბრიტანელი სამხტომელი ჯონათან ედვარდსი წლის საუკეთესო მძლეოსან ვაჟად დაასახელეს. მან წელს მსოფლიო რეკორდიც დაამყარა და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.**

**— ჯონათან, თქვენთვის წარმატებული სეზონის ბოლოს ტიტული ტიტულზე დააგროვეთ — ბრიტანეთის, ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი გახდით. რას ნიშნავს ყოველივე ეს თქვენთვის?**

— ეს მართლა რაღაცას ნიშნავს. ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნობა დიდი პატივია, აგრეთვე პირველობა ბრიტანეთშიც. ჩახედეთ წინა გამარჯვებულთა სიას — კრემი, კოუ, ოვეტი, თომფსონი — მათ შორის ყოფნა უდიდესი აღიარებაა, ეს პატარა ელიტარული კლუბია.

**— ზაფხულის განმავლობაში, როცა მსოფლიოს რეკორდებს აუმჯობესებდით და ყველას ამარცხებდით, განაცხადეთ, რომ ძლივს გჯერათ, რაც ხდება. ისიც გითქვამთ, რომ არასდროს გიფიქრიათ 18-მეტრიანი ზღვარის დაძლევაზე. ახლა, როცა ყველაფერმა ჩაიარა, რას ფიქრობთ, რა უნდა ჰქნათ მომავალში?**

— მართალი გითხრათ, ჯერ არც კი ვიცი, რაზე უნდა ვიფიქრო. რა უნდა ვქნა მომავალ სეზონში? ჩემთვის წინ კვლავ უცნობი ტერიტორიებია. გულახდილი რომ იყო, იმას ვუფიქრდები, საერთოდ ვინ ვარმე.

მე ვარ სამხტომელი, ვინც 17 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე ხტებოდა და უცებ საოცნებო წელი დაუდგა? თუ ვარ სამხტომელი, რომელსაც შეუძლია 18 მეტრისა და 50 სანტიმეტრის დაძლევა, მაგრამ ახლა ხვდება, რამხელა პოტენციალი აქვს?

სადღეისოდ პირველი ვარიანტი უფრო მომიხდება. სად არის გარანტია, რომ გაისადაც იმავე შედეგებს მივაღწევ, რასაც 1995-ში? ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს თავდებად ვერ დავუდგები, რომ იგივეს შევძლებ.

**— თქვენი რეკორდები შვედმა და დანიელმა ბიომექანიკოსებმა შეისწავლეს. ერთ-ერთმა მათგანმა ლეიფ დალბერგმა თქვა, რომ დასაშვები, წამში 2 მეტრი სიჩქარის ზურგქარის დახმარებისას, თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ საკუთარი რეკორდი 18,29 მეტრიდან 19 მეტრამდე. ამის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ გარბენის ბოლო ფაზაში თქვენი სირბილის სიჩქარე 11,9 მეტრი წამში იყო. ეს 0,1 მეტრ-წამით მეტია კარლ ლუისის სარეკორდო გარბენის სიჩქარეზე. ეს ალბათ სამომავლო ფიქრებს ალგიძრავთ.**

— იმის ვარაუდი, რომ ჩემი და კარლ ლუისის სიჩქარეები თანაბარია, სისულელეა. მე ვნახე სარეკორდო ნახტომის ბიომექანიკური მონაცემები და არა მგონია, 11,9 მეტრ-წამში მერბინოს. უბრალოდ, არ მჯერა ამისა. მე შევამოწმე მრავალი სტატისტიკური მონაცემი და მათში დიდი სხვაობები აღმოვაჩინე. ყოველივე ამის მიმართ ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი.

რაც შეეხება ნახტომს 19 მეტრზე, შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს კიდეც ამ ზღვარს. 17 მეტრიდან 18 მეტრამდე გადახტომას 35 წელიწადი დასჭირდა. ვფიქრობ, ახალ ზღვრამდე მიღწევასაც ამდე[illegible]

**— რა მანძილს თვლით თქვენს ზედა ზღვრად?**

— არ ვიცი. უეჭველია, 18,29 - მეტრიანი ნახტომი გეტებორგში არ იყო ტექნიკურად საუკეთესო. არა მგონია, მივუახლოვდე ჩემს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს - 18,43 მეტრს. მაგრამ იგი რეკორდად არ ჩაითვალა, რადგან ქარი დასაშვებზე მეტი იყო. ეს სიგრძე ივნისში დავძლიე ლილში, ევროპის თასზე.

გეტებორგში დაუჯერებელი რამ მოხდა, ისე შორს გადავხტი, მაგრამ ლილში მთლად სასწაული იყო. არასდროს გადავმხტარვარ ტექნიკურად ასე სრულყოფილად. გეტებორგში უფრო თავდაჯერებულად გადავხტი, მაგრამ ლილში არ მა[illegible] რობით შევასრულე ტექნიკურად.

**— ვიქტორ სანეევმა აღნიშნა, ეს არა მხოლოდ სამხტომის, არამედ, საერთოდ, მძლეოსნობის ყველა დროის საუკეთესო რეკორდიაო. თავისი ხანგრძლივი და ბრწყინვალე კარიერის მანძილზე ამ უდიდესმა სამხტომელმა გააუმჯობესა სამი მსოფლიოს რეკორდი, ისევე, როგორც თქვენ. ვიქტორმა აგრეთვე სამი ოლიმპიადა მოიგო — 1968, 1972 და 1976 წლებში. რას აპირებთ მომავალ ოლიმპიურ წელს, რომელსაც ფავორიტად ხვდებით?**

— საზოგადოდ, ბევრმა ფიქრმა მომიცვა. ვცდილობ წარმატებით ვიასპარეზო. ბრენდან ფოსტერს ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე. მან მითხრა, ისე იფიქრე, თითქოს უკვე ჩემპიონი ხარო.

ოლიმპიურ ჩემპიონობაზე დიდი დაფასება რაღა უნდა იყოს? სწორედ ოლიმპიურმა თამაშებმა გადამაწყვეტინა სერიოზულად მომეკიდა ხელი სპორტისთვის და ცხოვრებაშიც პირველ ადგილზე დამეყენებინა. ყველაფრისთვის მზად ვარ. მოვერევი ყველაფერს,რაც ატლანტამდე წინ დამიდგება - ლოდინს, ვარჯიშს, დაღლილობას.

**— შარშან ზამთარს თქვენ აღმოაჩინეთ, რომ ეპშტეინის ვირუსი შეგეყარათ. მკურნალობის გამო დიდი შესვენება გამოგივიდათ. ამის გამო გამოტოვეთ 1995 წლის ზამთრის სეზონი. თუკი დასვენებამ ასე გარგოთ, იქნებ გაისადაც გამოიყენოთ იგი?**

— დასვენებამ კარგად იმოქმედა ჩემზე და ვაპირებ ამ ზამთარსაც იგივე გავიმეორო. ზამთრის სეზონის ჩაგდება ფინანსურად ძალზე დამაზარალებს, მაგრამ მე წინ ვიყურები. ჩემი მთავარი გოლი ოლიმპიადაა და ვეცდები იგი გავიტანო.

ფულის მხრივ ძალზე მაცდუნებელია ზამთრის სეზონში ჩაბმა, მით უმეტეს, იგი კარზეა მომდგარი,მაგრამ მასში მონაწილეობა არ მინდა. ოლიმპიადა ცოტა უფრო ადრე იწყება, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ამის გამო მზადებასაც ცოტა ადრე — დეკემბრის ბოლოდან დავიწყებ.

მთელ ზამთარს ინგლისში გავატარებ. მარტიდან მაისამდე ფლორიდაში წავალ. პირველ შეჯიბრებაშიც იქ მივიღებ მონაწილეობას. შემდეგ ატლანტაში გრან-პრია, ძალიან კარგი იქნება იქ ჩასვლა და ოლიმპიადის ადგილსამყოფელთან შეჩვევა.

საიმონ თერნბელი
„ნორსერნ ექო“
(დიდი ბრიტანეთი)



## ტიტე და მერაბი

დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მეორე წრე. უცვლელმა ჩემპიონმა და ლიდერმა „სტუ — შევარდენმა“ [illegible] და ისეთი პირი უჩანს, ჩემპიონობას [illegible] რადაც [illegible] შეეცილება. [illegible] შნავად [illegible] ამ [illegible] ლიდერი ტიტე კალანდაძე (100 გოლი), თუმცა ბომბარდირი მამულელი მერაბ უშვერიძე გახდა 127 გოლით. ეს ჩინებული მონაცემების მქონე ახალგაზრდა მეტი სერიოზულობით რომ მოეკიდოს საქმეს, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს ბრწყინვალე გამთამაშებელი ეყოლება. აღსანიშნავია ჭაბუკთა ნაკრების დიდი პროგრესი, რაც უდაოდ მთავარი მწვრთნელის ჯემალ ბარამიძის დამსახურებაა.

მამუკა კვარაცხელია

### საქართველოს ჩემპიონატი

სტუ — მართვე 36:16, მამული — ჭაბუკები 28:25, დინამო — ფოთი 37:22
ჭაბუკები — სტუ 22:27, მამული — დინამო 31:33, მართვე — ფოთი 29:35
ჭაბუკები — დინამო 23:32, მართვე — მამული 27:45, სტუ — ფოთი 40:24
დინამო — სტუ 23:31, ჭაბუკები — მართვე 25:18, ფოთი — მამული 33:47
სტუ — მამული 39:30, დინამო — მართვე 44:19, ფოთი — ჭაბუკები 20:32

გათამაშების ცხრილი II წრის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 10 | 10 | 0 | 0 | 337-208 | 20 |
| დინამო | 10 | 8 | 0 | 2 | 285-212 | 16 |
| მამული | 10 | 6 | 0 | 4 | 309-273 | 12 |
| ჭაბუკები | 10 | 4 | 0 | 6 | 242-243 | 8 |
| ოქროს ვერძი | 10 | 2 | 0 | 8 | 214-297 | 4 |
| მართვე | 10 | 0 | 0 | 10 | 211-365 | 0 |

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

**გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.**

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71



# ღიმილის ამკრძალავი

„სწორდით! სმენა!“ — ასე ესალმება NBA-ის კლუბის „მაიამი ჰითის“ მწვრთნელი და ერთ-ერთი მეპატრონე პატ რაილი თავის კალათბურთელებს გასახდელში შესვლისას. კალათბურთელებს მართლაც არა აქვთ სასაცილოდ საქმე მას შემდეგ, რაც ლიგის ყველაზე წარმატებული (თამაშების 71,7 პროცენტის მოგება) მწვრთნელი ნიუ-იორკიდან ფლორიდაში გადაბარგდა. სიცილი — რაილის წესებით — სულ ცოტა, მატჩის დროს მაინცაა აკრძალული. მან კი, ვინც ამ კანონს დაარღვევს და გაიცინებს, 500 დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. „თუ ჩვენ საქმეს სერიოზულად არ მოვეკიდებით, სჯობს, ის სულ მივატოვოთ. ჩვენ გამარჯვებებისთვის გვიხდიან ფულს“ — ამბობს რაილი. მართალია, „მაიამის“ მწვრთნელი მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფება, მაგრამ შესაბამისად დიდ გასამრჯელოსაც იღებს. ის მომდევნო შვიდ წელიწადში 35 მილიონ დოლარს მიითვლის. გლენ რაისის თქმით, რომელიც „შარლოტ ჰორნეთსის“ ცენტრ ალინზო მურნინგში გაცვალეს, თუ იატაკზე დავარდნილ მეტოქეს წამოდგომაში მიეხმარებოდი და ხელს გაუწვდიდი, 1500 დოლარით ჯარიმდებოდი. ესეც რაილის კანონია.

საოცარია, მაგრამ ასეა: თუ მეტოქე ფართან ისე შევიდა, რომ ხელი არავინ შეუშალა, ამისთვისაც მოთამაშე ჯარიმდება. რაილი თავის ქვეშევრდომებს ჯარიმებისკენ უბიძგებს. იმის შიშით, რომ „მრისხანე ბატონს“ ხელფასი არ დაექვითა, ამხანაგურ მატჩში მატ გაიგერი ისე უხეშად ეთამაშა შაკილონილს, ამას ცერა თითი მოსტყდა და ჩემპიონატს დეკემბრის ბოლომდე გამოაკლდა. **NBA**-მ გაიგერი განზრახ უხეშობისთვის 10 000 დოლარით დააჯარიმა. „გაიგერმა მომიბოდიშა, მაგრამ ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მომავალში მეც ვიუხეშებ და ასე დავიცავ თავს“ — დაიქადნა ონილმა.

ამის მიუხედავად, რაილი ამაყად ნერგავს მაიამიში იმას, რასაც „ნიუ-იორკ ნიქსში“ ჩაუყარა საფუძველი — უაღრესად ხისტ, უმოწყალო თამაშს. გასული სამი წლის მანძილზე ნიქსელები სეზონში 2000 ჯარიმას იღებდნენ და მეტსახელად „ქუჩის ბიჭებიც“ დაიმსახურეს. რაილი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს: „ჩვენ, უბრალოდ, დაცვაში კარგად ვთამაშობდით. ამასთან მწვრთნელმა თავისი „სამუშაო მასალისგან“ საუკეთესო მხარეები უნდა გამოავლინოს და წამოსწიოს წინა პლანზე“.

ისე გამოდის, თითქოს, იმგვარი კუნთის გროვებისგან, როგორიც ანთონი მეისონი და ჩარლზ ოკლია, მხოლოდ კალათბურთის რამბოს სტილში თამაშია შესაძლებელი. სეზონისწინა თამაშებმა მწარე შედეგი მოიტანა — „მაიამი ჰითმა“რვა მატჩში 280 ჯარიმა მიიღო, თითოში — ოცდათხუთმეტი.

„სადამდე უნდა უყუროს უმოქმედოდ **NBA**-მ ამ უმსგავსობას. რაილის ტაქტიკას კალათბურთთან საერთო არაფერი აქვს. ის უნდა მოიკვეთოს“ — აღშფოთებულია შაკილ ონილი. „დეტროიტ პისტონსის“ყოფილი ვარსკვლავი აიზია თომასი იხსენებს:დეტროიტში ჩვენ „ცუდ ბიჭებს“გვეძახდნენ, მაგრამ რაილის გუნდთან შედარებით უცოდველი კრავები ვიყავით“.

ხომ არ მალავს თავის ჭეშმარიტ ბუნებას ჯორჯო არმანის კოსტუმში გამოწყობილი პატ რაილი? „მწვრთნელი შეიძლება დაჯარიმდეს, თუკი ის პატივს არ სცემს მეტოქე გუნდსა და კალათბურთელთა უსაფრთხოებას“ — აცხადებს **NBA**-ის მოხელე როდ ტორნი. ასე რომ, რაილი „კონტროლზეა აყვანილი“...

ერეკლე კიკილაშვილი
„შპორტ ობილდის“ მიხედვით



### პატ რაილი

დაიბადა 1945 წელს

1977 წელს „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ შემადგენლობაში გახდა NBA-ის ჩემპიონი.

1981 წლიდან მწვრთნელია. სათავეში ედგა „ლეიკერზს“ (9სეზონი, მოიგო 533 მატჩი, წააგო 194. ოთხჯერ 1982-85-87 და 88 წლებში გახადა გუნდის NBA-ის ჩემპიონი), „ნიუ-იორკნიქსს“ (3 სეზონი, 223 მოგნება, 105 წაგება), 1995 წელს ჩაიბარა „მაიამი ჰითი“ (ამ მომენტისთვის 11 მოგება, 5 წაგება), თან გახდა კლუბის პრეზიდენტი.

1990-92 წლებში მუშაობდა NBA-ის საკალათბურთო კომენტატორად.

სულ NBA-ში მოიგო 767 მატჩი, წააგო — 304 (მოგებების რაოდენობით ყველა დროის მე-9 შედეგი, პროცენტულად - პირველი)

NBA-ის ფლეი-ოფებში მოიგო 137 მატჩი, წააგო — 75. რაოდენობრივადაც და პროცენტულადაც NBA-ის აბსოლუტური რეკორდია.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ჩელსი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| ასტონ ვილა — ქოვენთრი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ბლექბერნი — მიდლსბრო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მანჩესტერ სიტი — ნოტინგემი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ნიუკასლი — ევერტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ქუინზ პარკ რეინჯერსი — ბოლტონი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| შეფილდი — ლიდსი | 1,7 | 3,0 | 2,7 |
| ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 3,0 | 3,0 | 1,6 |

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — მანჩესტერ იუნაიტედი | 1,7 | 2,8 | 2,9 |

იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ფიორენტინა | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ბარი — პარმა | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| იუვენტუსი — ინტერი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლაციო — სამპდორია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მილანი — ტორინო | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ნაპოლი — რომა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| პიაჩენცა — კრემონეზე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| უდინეზე — პადოვა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ვიჩენცა — კალიარი | 1,5 | 2,9 | 3,6 |

ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტური

16-17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტენერიფე — ალბასეტე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სალამანკა — რეალ სოსიედადი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| კომპოსტელა — რასინგი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ვალენსია — ატლეტიკო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ბარსელონა — სპორტინგი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ბეტისი — სევილია | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ოვიედო — ესპანიოლი | 1,9 | 2,7 | 2,5 |
| რეალი — სელტა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რაიო ვალეკანო — დეპორტივო | 2,9 | 2,8 | 1,7 |
| სარაგოსა — ვალიადოლიდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ბილბაო — მერიდა | 1,2 | 3,0 | 6,5 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლანსი — ოსერი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ნანტი — ბორდო | 1,25 | 2,9 | 6,0 |
| გინგამი — ლილი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მონაკო — ბასტია | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| სენტ ეტიენი — პსჟ | 3,6 | 2,9 | 1,5 |
| გენიონი — ნიცა | 2,4 | 2,5 | 2,1 |
| კანი — მარტიგი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მონპელიე — მეცი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლე ავრი — რენი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| სტრასბური — ლიონი | 1,35 | 2,8 | 5,0 |

გოლების რაოდენობა

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | | 3-1 | | | | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | | 3-1 | | | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | [illegible] | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | 2-3 | | 2-0 | | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | | | 0-0 | | 1-0 | | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 0-2 | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | 2-0 | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | 0-0 | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | 3-2 | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | 0-0 | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | 1-0 |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |


## ვისაც სურს გახდეს

ჟურნალისტი,

ფოტორეპორტიორი,

გაიგოს, როგორ კეთდება გაზეთი

## «ოაზისი»

გაზეთი მოზარდებისთვის

აცხადებს კონკურს

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გოგონებსა და ვაჟებს 13 წლიდან 16 წლამდე. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ნებისმიერ თემაზე შესრულებული სტატია 2-3 თაბახი (პროგრამული თემები არ მიიღება).

„ოაზისის" პირველი ნომერი გამოვა 1996 წლის თებერვალში. გაზეთის რედაქცია შეიქმნება გამარჯვებული მოზარდებით, რომლებიც პოპულარული გაზეთებიდან მოწვეულ ჟურნალისტებთან ერთად იმუშავებენ გაზეთის გამოშვებაზე.

სტატიები წარმოადგინეთ მისამართზე:

მარჯანიშვილის 5 (უნივერმაღის გვერდით), III სართული

ოთახი 313, 2-დან 4-საათამდე.

ტელ: 96-91-73

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპა

50 ქვეყანა, 50 მონაწილე, 14 საგზური + საფრანგეთი

| I ჯგუფი | II ჯგუფი | III ჯგუფი |
|---|---|---|
| დანია | იტალია | ნორვეგია |
| საბერძნეთი | ინგლისი | შვეიცარია |
| ხორვატია | პოლონეთი | ფინეთი |
| სლოვენია | საქართველო | უნგრეთი |
| ბოსნია | მოლდოვა | აზერბაიჯანი |

| IV ჯგუფი | V ჯგუფი | VI ჯგუფი |
|---|---|---|
| შვედეთი | რუსეთი | ესპანეთი |
| შოტლანდია | ბულგარეთი | ჩეხეთი |
| ავსტრია | ისრაელი | სლოვაკეთი |
| ლატვია | კვიპროსი | იუგოსლავია |
| ბელარუსი | ლუქსემბურგი | მალტა |
| ესტონეთი | | ფარერები |

| VII ჯგუფი | VIII ჯგუფი | IX ჯგუფი |
|---|---|---|
| ჰოლანდია | რუმინეთი | გერმანია |
| ბელგია | ირლანდია | პორტუგალია |
| თურქეთი | ლიტვა | ჩრდ. ირლანდია |
| უელსი | ისლანდია | უკრაინა |
| სან მარინო | მაკედონია | ალბანეთი |
| | ლიხტენშტეინი | სომხეთი |

ჯგუფების 9 გამარჯვებული და მეორეადგილოსნებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე პირდაპირ გადიან ფინალში, მეორე ადგილზე გასული დანარჩენი 8 გუნდი დაწყვილდება და მიმოსვლით თამაშებში დანარჩენ 4 ფინალისტს გამოავლენს.

## აზია

41 ქვეყანა, 36 მონაწილე, 3 ან 4 საგზური

| I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|
| საუდის არაბეთი | ირანი |
| მალაიზია | სირია |
| ბანგლადეში | მალდივეთი |
| ტაივანი | ყირგიზეთი |

| III ჯგუფი | IV ჯგუფი |
|---|---|
| არაბთა საემიროები | იაპონია |
| ბაჰრეინი | ომანი |
| იორდანია | ნეპალი |
| | მაკაო |

| V ჯგუფი | VI ჯგუფი |
|---|---|
| უზბეკეთი | სამხრეთი კორეა |
| ინდონეზია | ტაილანდი |
| იემენი | ჰონკონგი |
| კამპუჩია | |

| VII ჯგუფი | VIII ჯგუფი |
|---|---|
| ქუვეითი | ჩინეთი |
| ლიბანი | თურქმენეთი |
| სინგაპური | ვიეტნამი |
| | ტაჯიკეთი |

| IX ჯგუფი | X ჯგუფი |
|---|---|
| ერაყი | ყატარი |
| ყაზახეთი | ინდოეთი |
| პაკისტანი | შრი ლანკა |
| | ფილიპინები |

გამარჯვებულები ორ 5-5 გუნდიან ჯგუფად დაიყოფიან და ერთწრიან ტურნირს მოაწყობენ ნეიტრალურ ქვეყანაში. 2-2 გამარჯვებული ნახევარფინალში გავა.

ნახევარფინალის მოგებულები საფრანგეთის საგზურსაც დაეუფლებიან და ერთმანეთში აზიის ჩემპიონსაც გაარკვევენ. წაგებულები მესამე ადგილისთვის ითამაშებენ. გამარჯვებული მესამე საგზურს მოიპოვებს, აქაც წაგებული კი ზღვისრეთის ზონის ჩემპიონს მიმოსვლით შეეცილება საფრანგეთში გამგზავრებას.

## სამხრეთი ამერიკა

10 ქვეყანა, 10 მონაწილე, 4 საგზური + ბრაზილია

| | |
|---|---|
| არგენტინა | პარაგვაი |
| ბოლივია | პერუ |
| ეკვადორი | ურუგვაი |
| ვენესუელა | ჩილე |
| კოლუმბია | |

ორწრიანი ტურნირის 4 გამარჯვებული ფინალის საგზურს მიიღებს

პირველი წრის განრიგი

24 მარტი, 1996. არგენტინა — ბოლივია, ვენესუელა — ურუგვაი, კოლუმბია — პარაგვაი, ეკვადორი — პერუ

2 ივნისი. ეკვადორი — არგენტინა, ურუგვაი — პარაგვაი, ვენესუელა — ჩილე, პერუ — კოლუმბია

7 ივლისი. პერუ — არგენტინა, ჩილე — ეკვადორი, კოლუმბია — ურუგვაი, ბოლივია — ვენესუელა

1 სექტემბერი. არგენტინა — პარაგვაი, კოლუმბია — ჩილე, ეკვადორი — ვენესუელა, ბოლივია — პერუ

9 ოქტომბერი. ვენესუელა — არგენტინა, ურუგვაი — ბოლივია, ეკვადორი — კოლუმბია, პარაგვაი — ჩილე

10 ნოემბერი. ჩილე — ურუგვაი, ბოლივია — კოლუმბია, პარაგვაი — ეკვადორი, პერუ — ვენესუელა

15 დეკემბერი. არგენტინა — ჩილე, ურუგვაი — პერუ, ვენესუელა — კოლუმბია, ბოლივია — პარაგვაი

12 იანვარი, 1997. ურუგვაი — არგენტინა, პერუ — ჩილე, ვენესუელა — პარაგვაი, ბოლივია — ეკვადორი

12 თებერვალი. კოლუმბია — არგენტინა, ეკვადორი — ურუგვაი, პარაგვაი — პერუ, ბოლივია — ჩილე

## ზღვისრეთი

10 ქვეყანა, 10 მონაწილე, 1 ან არცერთი საგზური

### პირველი ეტაპი

**მელანეზია**

- პაპუასეთი
- სოლომონის კუნძულები
- ვანუატუ

**პოლინეზია**

- კუკის კუნძულები
- ტონგა
- დასავლეთი სამოა

მელანეზიური ჯგუფის გამარჯვებული პირდაპირ გადის მეორე წრეში, პოლინეზიისა კი იქ გასასვლელად შეეჯიბრება მელანეზიის მეორე გუნდს.

### მეორე ეტაპი

**I ჯგუფი**

- ავსტრალია
- ტაიტი
- პოლინეზიის I ან მელანეზიის II

**II ჯგუფი**

- ახალი ზელანდია
- ფიჯი
- მელანეზიის გამარჯვებული

ჯგუფების მოგებულები ჯერ ერთმანეთში ორ წრედ გაარკვევენ საქმეს, ამათში გამარჯვებული კი საფრანგეთის საგზურისთვის აზიის მეოთხე გუნდს შეეჯიბრება

## ჩრდილო ამერიკა და კარიბეთი

30 ქვეყანა, 30 მონაწილე, 3 საგზური

### კარიბეთის ზონა

**I წრე**

არუბა — დომინიკელთა რესპუბლიკა
ბაჰამის კუნძულები — სენტ კიტსი და ნევისი
გვიანა — გრენადა
დომინიკა — ანტიგუა

**II წრე**

ბერმუდა — ტრინიდადი და ტობაგო
პუერტო რიკო — სენტ ვინსენტი და გრენადინები
კაიმანის კუნძულები — კუბა
ბაჰამის კუნძულები ან სენტ კიტსი და ნევისი — სენტ ლუსია
გვიანა ან გრენადა — ჰაიტი
სურინამი — იამაიკა
დომინიკა ან ანტიგუა — ბარბადოსი
არუბა ან დომინიკელთა რესპუბლიკა — ანტილის კუნძულები

მეორე ეტაპის 8 გამარჯვებული მოგვიანებით დაწყვილდება და მესამე ეტაპზე მიმოსვლით გამოავლენს ნახევარფინალური რაუნდის 4 მონაწილეს

### ცენტრალური ამერიკის ზონა

**I წრე**

ნიკარაგუა — გვატემალა
ბელიზი — პანამა

გამარჯვებულები ნახევარფინალურ რაუნდში გადიან

### ნახევარფინალური რაუნდი

| I ჯგუფი | II ჯგუფი | III ჯგუფი |
|---|---|---|
| აშშ | კანადა | მექსიკა |
| კოსტა რიკა | სალვადორი | ჰონდურასი |
| კარიბეთის D | კარიბეთის A | კარიბეთის B |
| ნიკარაგუა ან გვატემალა | ბელიზი ან პანამა | კარიბეთის C |

ჯგუფების ორ-ორი გამარჯვებლი მიმოსვლით მოაწყობს ორწრიან ფინალურ ტურნირს, რომლის 3 პრიზიორი საფრანგეთში ითამაშებს

## აფრიკა

51 ქვეყანა, 36 მონაწილე, 5 საგზური

**I წრიდან თავისუფალი არიან**

კამერუნი, ნიგერია, მაროკო, ეგვიპტე

**I წრე**

სუდანი — ზამბია
ნამიბია — მოზამბიკი
ტანზანია — განა
სვაზილენდი — გაბონი
უგანდა — ანგოლა
მავრიკეთი — ზაირი
მალავი — სამხრეთი აფრიკა
მადაგასკარი — ზიმბაბვე
გვინეა-ბისაუ — გვინეა
რუანდა — ტუნისი
კონგო — სპილოს ძვლის ნაპირი
კენია — ალჟირი
ბურუნდი — სიერა ლეონე
მავრიტანია — ბურკინა ფასო
ტოგო — სენეგალი
გამბია — ლიბერია

16 გამარჯვებულს დაემატება კამერუნი, ნიგერია, მაროკო და ალჟირი. 20 გუნდი დაიყოფა 5 ჯგუფად და ორწრიან ტურნირს მოაწყობს. ჯგუფების გამარჯვებულები ფინალური ეტაპის საგზურებს მოიპოვებენ. ჯგუფების წილისყრა პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მოეწყობა.

# მიშელ პლატინი: ცხოვრება თამაშია

**როდის აკლდა ან რატომ უნდა ჰკლებოდა მიშელ პლატინის პრესა-ტელევიზიის ყურადღება, მაგრამ ბოლო ხანს ნამეტანი იყო: 98 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტადაც აირჩიეს და წელს ორმოცისაც გახდა. ახლა ჩემთვის უმთავრესი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მოწყობააო, ამბობს კიდეც ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუში.**



პლატინი დილაადრიან გვესტუმრა „ფრანს-ფუტბოლში". ეს იყო ერთგვარი პასუხი და თანხმობაც ჩვენს თხოვნაზე — მეხსიერებაში აღედგინა 40 წლის კაცის ცხოვრების ძირითადი მომენტები.

**— და აი, 40 წელიც მოვიდა! ალბათ საკმაო ხანია, თქვენს წარმოდგენას არ შორდება ეს ციფრი — 40.**

— გულწრფელად ვაღიარებ, რომ სულაც არ არის ასე. პირიქით. ვფიქრობ, გადავაბიჯე იმ ზღურბლს, რომელსაც კაცის ცხოვრებაში წარმტაც ასაკს ეძახიან. ამჟამად ცხოვრების მატჩის შუაგულში ვიმყოფები

**— როგორი გახსოვთ თქვენი მშობლები 40 წლის ასაკში?**

— მამაჩემი ფრიად საინტერესო საქმიანობით იყო დაკავებული — მათემატიკასაც ასწავლიდა და ფეხბურთის მწვრთნელიც გახლდათ, რის გამოც სახლში მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა, ხშირად უფრო გვიანაც. ზოგჯერ, შაბათ—კვირაობით ფეხბურთელის ფორმაშიც ვხედავდი.

**— თამაშობდა კიდეც?**

— ორმოცდაორი წლისა ჩვენი მშობლიური ქალაქის ჟოფის გუნდის ღირსებას იცავდა. ის ლორენის პროვინციის ნაკრების კაპიტანიც კი იყო, როცა ჟაკ ჟორჟე რეგიონალურ ლიგას თავკაცობდა. დედაჩემი ანა ყველგან დაჰყვებოდა მამაჩემს. მეც მათი თანამგზავრი ვიყავი და ჩემს წილ ფეხბურთს ყველგან და ყოველთვის ვთამაშობდი. მახსოვს, ერთხელ ლონგვეიში ვიყავით, მამაჩემი თავისუფალი დარტყმისთვის ემზადებოდა; მეც იქვე, შორიახლოს ვთამაშობდი. ამ დროს საიდანღაც შემომესმა —„ესეც თამაშობს?!" აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. დედაჩემი ამ „აღმოჩენამ" უფრო აღელვა ვიდრე მამაჩემის კარგად შესრულებულმა დარტყმამ.

**— რა ხნის არიან თქვენი შვილები და როგორ უყურებენ ისინი მამას, რომელიც ორმოცის გახდა?**

— ლორანი 16 წლისაა და მეორე კურსს ასრულებს, მარი კი მალე 15—ის გახდება, ის ძმას ერთი კურსით ჩამორჩება. მე მათი მეგობარი ვარ, როცა საქმე კარგად მიდის და თუ ისე ვერაა, როგორც უნდა იყოს —მათი მამა.

**— მამათქვენთან სხვანაირი დამოკიდებულება გქონდათ?**

— მე არასოდეს შემიწყვეტია ფეხბურთის თამაში, ისევე, როგორც მამაჩემს. ფეხბურთმა ჩვენ თავიდანვე დაგვაკავშირა — ხუთი წლიდან დაიწყო ჩემი „ხედნა", მაშინ, როცა არდადეგებზე იტალიის პლაჟებზე ვისვენებდით; ასე გაგრძელდა წლების მანძილზე, სანამ არ შევუდექი სრულყოფილ წვრთნას მისი ხელმძღვანელობით. ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა ბავშვობა, რომლის ძირითადი ნაწილი მამაჩემთან ფეხბურთის თამაშს დაეთმო. ვისურვებდი, რომ ჩემსა და ლორანს შორის წამოწყებული თამაშიც ასე გაგრძელდეს, რაც, მგონი, არცთუ ადვილი იქნება — მას შემდეგ ხომ ბევრი რამ შეიცვალა. იცით სად დავიბადე?

— კაფეში, რომელსაც ასეთი აბრა ჰქონდა — სპორტული ბარი. კაფეში მუდამ იგრძნობოდა იტალიელების სიჭარბე. ბებიაჩემი დედაჩემთან ერთად მუშაობდა კაფეში. მე ან ტელევიზორთან ვიყავი მიმჯდარი, ან ეზოში ვთამაშობდი ფეხბურთს. ან კიდევ ბაბუაჩემთან ბანქოთი ვიქცევდი თავს. მგონი, შეიძლება იმის მიხვედრა, თუ საიდან მოდის ჩემი „ავადმყოფობანი", რომელთაც ჰქვიათ ფეხბურთი,ბანქო, მეგობრები.

**— ხომ არ გინატრიათ — „ნეტავი მალე გავიზრდებოდე!"**

— ეს არასოდეს მომსვლია აზრად, სანამ ჟოფში ვიყავი, ჩემს მშობლებთან. მე 17 წლისამ დავტოვე ისინ, როცა გადავედი „ნანსიში", საიდანაც დაიწყო ჩემი რენომეს ჩამოყალიბება. მაშინ იყო სწორედ, ჩემი მორიდებულობა რომ აღმოვაჩინე. აი, მიდიხარ ქუჩაში, გამვლელები კი, უფრო გოგონები, მზერას გაყოლებენ. მზერა კი არცთუ ხანმოკლეა. აქ ორი ვარაუდია: ის შენ გაწუხებს და კედელ—კედელ მიიძურწები, ან შენ თვალთმაქცობ, თავს იკატუნებ.

**— პლატინი რომელია, თვალთმაქცი თუ...**

— თვალთმაქცი ნამდვილად არა ვარ,პირიქით, ამით ძალიან ვიყავი შეწუხებული და ათი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ამ შებოჭილობიდან თავი დამეღწია.

**— კი მაგრამ, ის, რომ თქვენ ცნობილი პიროვნება იყავით, უფრო ადრე არ დაგეხმარათ ამ „საკითხის" მოგვარებაში?**

— შემიძლია ვთქვა, რომ აღიარებით ძალან შეწუხებული ვიყავი,როგორც ჩემს პროფესიულ, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩემს თანაგუნდელებთან ერთგვარად შოკირებულიც კი ვიყავი იმ ზედმეტი ყურადღებით, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენდა პრესა ან საზოგადოება.

**— განა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ასეა?**

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ფეხი არ შემიდგამს მზა ტანსაცმლის მაღაზიაში,თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შევიძინე საქორწინო კოსტუმი და საფრანგეთის გუნდის სპორტული ფორმა, როცა მე ეროვნული ნაკრების სელექციონერი ვიყავი.

**— მიუხედავად ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი ჩაცმის თქვენეული დახვეწილი მანერა.**

— მოყოლებული ფეხსაცმლის თასმიდან ჰალსტუხამდე, ჩემი მეუღლე — კრისტელი განაგებს ამ საქმეს. მაღაზიებში სიარული მისი სფეროა.

**— როცა მაღალი რანგის სპორტსმენი ხარ, არსებობს პროფესიული მოვალეობა — დაუქვემდებარო სხეული გამუდმებულ წვრთნას. ეს ყველაფერი ხშირად იქამდე მიდის, რომ მავანთ ნარცისული გადახრებიც კი უჩნდებათ...**

— მე არასოდეს მყვარებია ჩემი სხეული, არც ის მიფიქრია, რომ ჩემი ტანი რაღაც განსაკუთრებული საოცნებოა. ასე რომ, ნარცისიზმი ჩემთვის უცხოა. ერთხელ ტესტირებისათვის სპირომეტრში ჩავბერე და იმედის გაცრუებამაც არ დააყოვნა. ძნელი დასაჯერებელი იყო რომ საუკუნის ათლეტი ვიყავი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა წონაში ვიმატებდი. მაშინ იყო სწორედ, ჟანმიშელ მუტიას დახმარებით მენიუ რომ შევადგინე უვარჯიშებლად. წონის შენარჩუნება მიჭირდა.



**— საკვირველია, განა ამავე სხეულით არ იმყოფებოდით მთელი 15 წელი თქვენი სპორტული მოღვაწეობის ზენიტში?**

— საკითხავია, რა უფრო მიწყობდა ხელს — სხეული თუ გული. სწორედ ჩემი გულის და არა სხეულის წყალობაა, რომ 32 წლამდე ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. გულისა, რომელიც წუთში ორმოცამდე ძლიერს სცემდა. ეს გულისცემა ზოგჯერ არითმულიც კი იყო, მაგრამ ძალიან მალე წონასწორდებოდა. ეს ალბათ ქუჩის ფეხბურთის წყალობაც არის. არავითარი გულის აჩქარება არ მაშინებდა, ეგ იყო, დიდხანს სირბილი ჩემთვის ნამდვილი გოლგოთა იყო.

**— ახლა როგორაა საქმე?**

— ამაზე აღარც ვფიქრობ. ეს ძალიან ადრე იყო, ნანსში ყოფნისას. იყო შემთხვევები, რომ გულიც ამრევია. მაგრამ ჯარში დიდი გულმოდგინებით ვასრულებდი ყველა აუცილებელ ვარჯიშს, განსაკუთრებით ცალ ფეხზე ხტომაში ვიყოჩაღე და ამ საქმეში ჩემპიონ მაქსიმ ბოსის თუ ჩამოვრჩებოდი მხოლოდ. მე არც წაქცევა დამკლებიადა არც მუჯლუგუნი, მაგრამ ყველაფერი ასატანი და მოსათმენია. ამავე დროს მშვენივრად ვთამაშობდი თავით. და საერთოდ, სხეულის სრულყოფა სიმტკიცისა და გამძლეობის საქმეა.

**— როგორ ფიქრობთ, გამძლეობა გაიუმჯობესეთ?**

— რა თქმა უნდა, მოწიფულობასა და მუშაობასთან ერთად, ასე 25—26 წლისთვის. მაგრამ მე ყოველთვის გამასავათებელ ჭიდილში ვიყავი წონასთან, ოცი წელი სასწორს ვიყავი ჩაფრენილი. საფეხბურთო კარიერა წონის გადამკიდეს ერთი-ორი წლით შემიმოკლდა.

**— როგორიც უნდა იყოს ჩემპიონის ფიგურა, მისი ე.წ. კარკასი, იგი უფრო სწრაფად განილევა, სუსტდება ვინემ ჩინოვნიკის ან ინტელექტუალის ტვინი. ხომ არ გაქვთ რაიმე ეფემერული განცდა თქვენი მაშინდელი ცხოვრების მიმართ, რაც გასევდიანებთ?**

— გულახდილად გეტყვით, რომ ამას ჩემთვის საგანგაშო არაფერი მოუტანია. თუ რაიმეს გაკეთება აღარ შემიძლია, არც მოვისურვებ ამას. ძალიან მიმნდობი ვარ, ბედისწერისაც მჯერა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბედნიერება და კარგი ცხოვრება კარიერის თანამდევია. აზრმა, რომ უნდა შეჩერდე, არ უნდა შეგიქმნას დრამა, არ უნდა დაგაკომპლექსოს. არ ვიცი, გჯერათ თუ არა ჩემი, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, როცა ჩავდივარ ბერჟერაკში, რ. თა „ვარიეტეს" ჩემს თანაგუნდელებთან ერთად 2 ან 3 ათასი მაყურებლის თვალწინ ფეხბურთი ვითამაშო. გარკვეულ წილად იმის თქმაც შემიძლია, რომ ეს უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე თამაში საფრანგეთის ნაკრებში.

**— რა გავლენა იქონია თქვენზე ასაკმა, როგორც მოთამაშეზე, უფრო სწორედ როგორ დაეტყო იგი თქვენს სხეულს და რა იყო ამისი პირველი ნიშნები?**

— ვერანაირ პასუხს ვერ გაგცემთ, უძლური ვარ რაიმე გითხრათ, რადგან არ მაგონდება მსგავსი რამ. ალბათ ძალიან გულგრილი ვიყავი ასაკის მიმართ.

**— დღეს?**

— ო, დღეს ნამდვილად ველარ ვმღერი ისე, კვლავ და კვლავ წონა, ლიპი, აქეთ თმებმა იწყო შეთხელება და შევერცხვლა. თუმცა, ეს სულაც არაა უმთავრესი. კაცმა რომ თქვას, თუ წლების შემოტევას ვგრძნობ, ეს მხოლოდ ფეხბურთთან მიმართებაში. ის კი არ მადარდებს რამდენი წელი დამრჩა სიქაჩლემდე, არამედ ის, რამდენი — უკანასკნელ მატჩამდე. მე კოჭის ხუთჯერადი მოტეხილობა მაწუხებს, ფაქტობრივად, ჩემი კოჭი ნატეხების სახით არსებობს და დღეს ან ხვალ თავს კიდევ უფრო შემახსენებს. ის დღე კი, როცა არდადეგებზე კასიში ჩასული ვერ შევძლებ ჩოგბურთის თამაშს, უფრო ძნელი მოსანელებელი იქნება ჩემთვის, ვიდრე ეს ჩემი ორმოცი წელი.

**— როგორ გრძნობს თავს ოდნავ შესუქებული პლატინი, მაშინ როცა ახალგაზრდა თავის ირგვლივ ხიბლს აფრქვევდა...**

— მე არ ვცხოვრობ მოგონებებით, ჩემი გუშინდელი იმიჯის მოძიებით, არც სხვანაირი ნიღბის მორგებას ვაპირებ, შეიძლება ასეც ვთქვა — რაცა ვარ, ესა ვარ.

**— თქვენსკენ მომართულ მზერას რა გამოლევს, მაგრამ მათ შორის ქალის შემოხედვას როგორი ყურადღებით ეპყრობით?**

— დიდი ხნის მანძილზე ვერ ვამჩნევდი, რამდენად ვაინტერესებდი გოგონებს. როგორც ირკვევა, სკოლაში მათ ყველას ვყვარებივარ. ყველაფერი ეს მოგვიანებით გაირკვა...

**— კი მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, თავი სად გქონდათ, რაზე ფიქრობდით?**

— ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ცოტა დასვენება, ტელევიზორი, ბანქო ბაბუაჩემთან, ბურთის დარტყმები გარაჟის კედელზე, იქით მამაჩემის თავისუფალი დარტყმები. მოკლედ, ამ ყოველივეთი ისე ვიყავი გატაცებული, რომ ვერ დავიკვეხნი, დიდი მოარშიყე ვიყავ-მეთქი.

**— გრძნობთ თუ არა, რომ ქალები ახლა არცთუ ინტენსიურად გაცქერდებიან?**

— ჩემს შემთხვევაში ეს ოდნავ სხვანაირად აღიქმება. გავრისკავ და გეტყვით, რაც უეჭველი მგონია — ახლა ნაკლებად მაცქერდებიან გაშტერებით, ალბათ იმიტომ, რომ ნაკლებ ვარ მოდაში. ამას პრობლემად ნამდვილად ვერ აღვიქვამ.

**— იქნებ თქვათ სამიოდე სიტყვა იმის შესაჯამებლად, რასაც ქალებზე ფიქრობთ?**

— უფრო გაბედულნი, ვიდრე მამაკაცები, უფრო უკიდურესნი და აუცილებელნი.

**— იმიტომ დაქორწინდით, რომ შეყვარებული პლატინებისგან [illegible] ამას დაჟინებით მოითხოვს, თუ?**

— მართალია, შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ უფრო იმიტომ შევქმენი ოჯახი, რომ ვიპოვე გოგონა, რომელიც შემიყვარდა, მიყვარს და კვლავაც მეყვარება.

**— თქვენ ეკლესიაში დაიწერეთ ჯვარი, შემდეგ მერიაშიც მიხვედით...**

— მე მორწმუნეთა ოჯახიდან ვარ. 7—დან 14 წლამდე ჟოფის ქოროში ვმღეროდი. ყოველ კვირას, დილაობით წირვაზე დავდიოდი დედაჩემთან ერთად, რომელიც იქ კატეხიზმოს ასწავლიდა და დღესაც მგონი ამითაა დაკავებული.

**— თქვენ გწამთ ღმერთი?**

— უეჭველად. მე მჯერა, რომ ღმერთი არსებობს და არასოდეს დამიყენებია ეჭვისქვეშ მისი არსებობა. ეკლესია ადამიანებისთვის ბევრს ნიშნავს, მიჭირს კიდეც ამაზე რაიმეს თქმა. ეკლესიის რეპუტაცია ზოგჯერ დამოკიდებულია მის სიმპათიურ თუ არა სიმპათიურ მღვდელზე. მე შემხვედრია ერთიც და მეორეც. თუმცა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი რწმენა ამ ყოველივეს აღემატება.

**— შესთხოვთ ხოლმე ღმერთს?**

— რა თქმა უნდა, ასეც ხდება. და რახან წინასწარ იმასაც ვხვდები, რა უნდა მკითხოთ, ახლავე გეტყვით,რას შევთხოვ ღმერთს მატჩების წინ —ღმერთო,ჩვენ მოგება გვჭირდება, ხელი მოგვიმართე". აი, ის, რასაც მას ვთხოვ, ზუსტად იმას, რაც საჭიროა ჩემი მეტოქის ვედრების გასაწონასწორებლად. ისინიც ხომ ღმერთს შესთხოვენ თავის მხრივ.

**— 40 წლისა, ისე, სხვათაშორის, სიკვდილის არსზე ხომ არ დაფიქრებულხართ?**

— თუ არ ჩავთვლით ჩემს ბებიებს და ბაბუებს, დიდი ხნის წინ გარდაცვლილ რამდენიმე ჩემს კლასელს, ჩემს საუკეთესო მეგობარს გაეტანო შირეას, რომელიც მოულოდნელად დამშორდა, შეიძლება ვთქვა, რომ სამგლოვიარო განცდები მაინცდამაინც არ მახასიათებს. აღარაფერს ვამბობ ეიზელზე, რომლის ტრაგედიამ შემძრა. სიკვდილთან „ძალიან ახლოს" არ ვყოფილვარ და მხოლოდ ასე ვიტყოდი: არამც თუ არ ვფიქრობ სიკვდილზე, უბრალოდ, არც მეშინია მისი. მე ჩემს სიკვდილს ველოდები. აი, სხვისი გარდაცვალება კი ნამდვილად დრამაა. აქაური სიცოცხლე ესაა. ერთგვარი გასავლელი მონაკვეთი, გზა მეორე სიცოცხლისკენ, იმათ მოსაძიებლად წასვლა, ვინც აქაურ ყოფაში გზიდან ჩამოგვშორდა. ამ მონაკვეთის გავლისას ვცდილობ საკუთარი სიცოცხლე მივუძღვნა ბედნიერებას. მე განა მარტო ჩემი, მეზობლის ბედნიერებაც მწადია და მზად ვარ, ხელი გავუწოდო, თუ ეს მას სჭირდება და მიიღებს. რაიმეს გაცემისას მე გაცილებით უფრო ბედნიერი ვარ, ვინემ რაიმეს მიღებისას. ვინმესგან რაიმეს მოძღვნა ნამდვილად მაწუხებს, მე ხომ უკვე გამაჩნია ყველაფერი ის, რაზეც ოცნება შეიძლება.

**— შეიძლება თუ არა თქვათ, რომ თქვენ საოცნებო ცხოვრებით ცხოვრობთ?**

— მე არაერთი ჰუმანიტარული წამოწყების მოთავე ვარ. ვხელმძღვანელობ ამასწინათ შექმნილ ასოციაციას, რომლის მიზანია ნარკომანი ახალგაზრდების მკურნალობა და ხსნა, მათი საზოგადოებისათვის დაბრუნება. გაიხედეთ, რამდენი გაჭირვებულია ირგვლივ, რამდენი ტკივილი და კვნესა ისმის. ვცდილობ დავეხმარო ჩემებურად, ისე, როგორც ძალმიძს. ასე, რომ ჩვენი ყოფითი სპექტაკლი მთლად სახალისო ვერაა, მაგრამ მაინც არ მრცხვენია იმის თქმა, რომ ბედნიერი ვარ. არც იმისა,რომ საკმაო ფული დავაგროვე.

**— სხვანაირ ცხოვრებას ხომ არ ინატრებდით?**

— ჩემი ცხოვრება რომანია. ვერ ვიტყოდი, რომ ის აღსავსეა ინტრიგებით, პიკანტური უცნაურობებით და მოულოდნელობებით. მსგავსი რამეები მხოლოდ წიგნებში შეიძლება ამოიკითხოს კაცმა

**— აწი რის გაკეთებას აპირებთ?**

— უმთავრესია, 98 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოწყობა, შემდეგ მსურს შემოვუარო მსოფლიოს, უფრო ახლო გავიცნო ჩვენი პლანეტა,მისი მობინადრენი; დაბოლოს, რახან ცხოვრება თამაშია, მსურს კვლავაც ვითამაშო, მიყვარდეს და გავცე. აი, ამ ცხოვრებისეული კრედოთი დაველოდები ჩემს აღსასრულს.

თარგმნა
თამაზ გუჯაბიძემ

რვაათასიანები




წინა პლანზე მარცხნივ — ნუპცზეს მასივი, მის უკან ჯომოლუნგმა ამოზიდულა, მარჯვნივ კი ლჰოცზეა

# ჯომოლუნგმას ჩრდილქვეშ

შვეიცარიელ მთამსვლელებს ღმერთი რომ არ გასწყრომოდათ, 1952 წელს ჯომოლუნგმაზე ამოყოფდნენ თავს და გახდებოდნენ პირველნი, რომლებმაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს. მაშინ შვეიცარიელთა საგაზაფხულო და საშემოდგომო ექსპედიციებმა გვარიანად შეაშფოთეს ინგლისელები, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ფიქრობდნენ ჯომოლუნგმაზე ასვლას და ამ დროის განმავლობაში ათი ექსპედიციაც მოაწყვეს, მაგრამ 1953 წლამდე მიზანს ვერა და ვერ მიაღწიეს.

მიუხედავად იმისა რომ, ჯომოლუნგმაზე პირველასვლა განხორციელდა, შვეიცარელებმა მაინც არ დაიშალეს ფიქრი და ოცნება, რომ ამ მწვერვალიდან გადმოეხედათ.

და აი, 1956 წლის გაზაფხულზე შვეიცარიელები ამ მწვერვალის რაიონს მიადგნენ,რათა პირველამსვლელთა მარშრუტით სამხრეთ უნაგირას გავლით ასულიყვნენ „სამყაროს სახურავზე“. მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო მათი მიზანი, შვეიცარიელებს გუნებაში ჰქონდათ ჯომოლუნგმას მეზობელ რვაათასიან ლჰოცზეზე პირველასვლაც.

ერთი ექსპედიციით — ორი რვაათასიანი! მსგავსი რამ მანამდე აზრად არავის მოსვლია. იმ წლებში არათუ ორი ასეთი ბუმბერაზის, ერთის დალაშქვრაც კი გრანდიოზულ მოვლენად ითვლებოდა, შვეიცარელთა გეგმას კი ალბათ უგრანდიოზულესი უნდა ვუწოდოთ.

დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, მითუმეტეს მასზე საკმაოდ ვისაუბრეთ. აი, სიმაღლით მეოთხე მწვერვალს კი გაგაცნობთ.

ლჰოცზეს მასივი ნეპალში ჰიმალაის მთავარ ქედზე, ჯომოლუნგმას მეზობლად, სამხრეთით მდებარეობს. წინათ ფიქრობდნენ, რომ ლჰოცზე ჯომოლუნგმას გვერდითი წინა მწვერვალიაო, მაგრამ როცა ახლოდან იხლეს, აღმოჩნდა, რომ სრულიად დამოუკიდებელი მწვერვალია. ლჰოცზეს ჯომოლუნგმასაგან აშორებს ოთხკილომეტრიანი ზღუდარი, რომელზეც სამხრეთ უნაგირა მდებარეობს. ლჰოცზეს მასივი 1,3-კილომეტრიანი ქედია, რომელზეც ალესილი კლდოვანი პიკები აღმართულა.

ეს მწვერვალი ძირითადად მაინც ოთხთავიანია და ოთხივე 8000 მეტრს აღემატება. მათგან უმაღლესია მთავარი, რომელიც 8516 მეტრია. სიმაღლით ამას მოჰყვება დასავლეთის საშუალედო მწვერვალი (8426 მ), მერე აღმოსავლეთის საშუალედო პიკი (8376 მ) და აღმოსავლეთის მწვერვალი (8398 მ), რომელსაც უფრო ხშირად ლჰოცზე შარს უწოდებენ.

ლჰოცზეს დასავლეთით არის ნუპცზეს (7879 მ) შთამბეჭდავი განშტოება, რომელიც ჯომოლუნგმას დასავლეთ ცირკს საზღვრავს. ეს დაკბილული მასივი ლჰოცზესაგან არც ისე ღრმა (300 მ) უნაგირით არის დაცილებული და დამოუკიდებელ მწვერვალად ითვლება, თუმცა მისი სახელწოდება, რომელიც „დასავლეთის პიკს“ ნიშნავს, იმაზე მიუთითებს, რომ იგი ლჰოცზეზეა „დამოკიდებული“.

ლჰოცზეს ფართო გამყინვარება აქვს. ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს დასავლეთის ცირკი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — კანჩუნგის მყინვარი. მასივიდან სამხრეთით და მასთან მდებარე მთავარი ქედიდან ჩამოდის რამდენიმე მყინვარი, რომლებსაც აქვთ საერთო სახელწოდება — ლჰოცზე, მათ შორის არის მთავარი, აღმოსავლეთის და დასავლეთის.

ლჰოცზე პირველად პატარა თვითმფრინავის ილუმინატორიდან ვიხილეთ, როცა მაღალმთიან სოფელ ლუკლაში მივფრინავდით, რათა იქიდან ჯომოლუნგმას ძირში მდებარე საბაზო ბანაკში ავსულიყავით. შორიდან ჯომოლუნგმა, ლჰოცზე და მათზე არანაკლებ სახელგანთქმული შვიდიათასიანი ნუპცზე — დედამიწის სიმაღლით ოცდამეორე მწვერვალი — სამივე ერთ მთლიან გიგანტად მოჩანდა, როგორც აისბერგი. სამივე მასივი ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს გვაგონებდა.

წინა პლანზე ნუპცზეს უზარმაზარი მასივი გადაშლილიყო. მთელი მასივი ერთი სიმაღლისა მოჩანდა, თითქოს თარაზოთი გაუსწორებიათო. უკანა პლანზე, ჯომოლუნგმას ზედა ნაწილი ეგვიპტური პირამიდის მსგავსად იყო წამომართული. მარჯვნივ ოთხთავიანი ლჰოცზეს სამი თავი აღმართულიყო.

ზოგიერთ მთამსვლელურ წიგნში ამოიკითხავთ, რომ მიუხედავად დიდი სიმაღლისა და სიდიდისა, ლჰოცზეს მასივი ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც, ვთქვათ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რვაათასიანი მაკალუ, რომელიც მას სიმაღლით ჩამორჩება. ეს იმით აიხსნება, რომ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ლჰოცზეს ჯომოლუნგმას მასივი დასცქერის და თრგუნავს, ხოლო აღმოსავლეთიდან, სადაც ჰიმალაის ამ მონაკვეთზე ძირითადი გზები გადის, მას მაკალუს მაისივი ხერგავს. იგი დასავლეთის ცირკიდანაც კი არ გამოიყურება დიდებულად, რაკი აქ კაცს თვალი გაურბის ჯომოლუნგმასკენ, რომელიც თავისი მონუმენტალობით ჩრდილავს ოთხთავა მწვერვალს. სამხრეთიდან ამ ოთხთავას ვეება განშტოება ფარავს და მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, კანჩუნგის მყინვარიდან ან სამხრეთიდან, ლჰოცზეს მყინვარდან, მასივი მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგებაო.

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და, როცა ჯომოლუნგმასკენ უკვე ქვეითად მიმავლებმა ის „ჩარჩოში ჩასმული სურათი“ პირველად ვიხილეთ, იქიდან ლჰოცზე სულაც არ გვეჩვენა ისეთი დაჩიავებულ-დაჩაჩანაკებული, პირიქით — ლჰოცზეს ცადატყორცნილი, წამახვილებული თავები თითქოსდა დედამწის უმაღლესი მწვერვალის პირამიდას იქით გადაჰყურებდა. რაც მეტად ვუახლოვდებოდით ლჰოცზეს, ნუფცზესა და ჯომოლუნგმას, ეს შთაბეჭდილება მით უფრო იზრდებოდა, მაგრამ რა თქმა უნდა ეს ილუზია იყო — სივრცეში ახლომდებარე საგნები ხომ გაცილებით მაღალი ჩანს, ვიდრე დაშორებული.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, კანჩუნგის მყინვართან ლჰოცზეს ფერდობები, ისე როგორც ჯომოლუნგმას აღმაოსავლეთის ფერდობები, გვაგონებს ციცაბო და საფეხურებიან კედელს, საიდანაც მასიური თოვლ-ყინულოვანი ლავგარინებია გადმოკიდებული. იქიდან მუდმივი თოვლისა თუ ყინულის ზვავი წყდება და კანჩუნგის მყინვარს გრიალითა და ზათქით ასკდება.

სამხრეთიდან, ლჰოცზეს მყინვარის მხარეს, მასივს აქვს ფრიალო ციცაბო კლდოვანი ფერდობები, რომლებიც ჩაყინული კულუარებითაა დასერილი.

ლჰოცზესკენ გზები მხოლოდ სამხრეთიდან ადის. აქ ნეპალიდან ასვლა შეძლება კჰუნბუს მყინვარიდან და დასავლეთის ცირკიდან, იმჯას ველიდან ლჰოცზეს მყინვართან, ან არუნის ველიდან კანჩუნგის მყინვართან.

ახლა ორიოდე სიტყვა ლჰოცზეს სახელწოდებაზე. მის ნათლობაზე დიდი გავლენა იქონია ლჰოცზეს ჩრდლოელმა მეზობელმა ჯომოლუნგმამ. ლჰოცზე ტიბეტურიდან თარგმანში ნიშნავს „სამხრეთის მთას“ („ლჰო“ - სამხრეთი, „ცზე“ — მთა).

ჩრდილოელმა მეზობელმა იმდენად დაჩრდილა ოთხთავა სამხრეთელი, რომ მასზე ასვლა 1955 წლამდე არავის უცდია, რაკილა ამ რაიონში ამოსულნი, უკლებლივ ყველანი, დედამწის უმაღლესი მწვერვალისკენ მიილტვოდნენ. ჯომოლუნგმას ფერდობებზე ასულთ თვალი კი გაურბოდათ ლჰოცზესკენ, მაგრამ იქით ფეხი არაფრით წაცდენიათ, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 7500 მეტრამდე, სადაც მეხუთე ბანაკი იდგმებოდა, ერთი მარშრუტი იყო გასავლელი, მერე კი გზები იყრებოდა.

პირველად ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაურმა ინგლისელმა ჯონ ჰანტმა იფიქრა სერიოზულად ლჰოცზეზე. ეს მოხდა 1953 წელს, სწორედ იმ წელს, როცა ინგლისელთა ექსპედიციამ ჯომოლუნგმა დალაშქრა. მაშინ ჯონ ჰანტმა შერპ და ნამგიალთან ერთად დაზვერა ლჰოცზეს მთავარი მწვერვალის ქედი, 1955 წელს კი მის ფერდობებზე პირველად გამოჩნდნენ მთამსვლელები. მაშინ შვეიცარიელმა ნორმან დირენფურტმა, როგორც კერძო პირმა, ნეპალის მთავრობისაგან ლჰოცზეზე ასვლის უფლება მიიღო. თავის ექსპედიციაში მან მიიწვია ჰიმალაის ბუმბერაზებთან ნაცადი ავსტრიელები ერვინ შნაიდერი და ერნ სენი. ისინი მწვერვალის დაზვერვის მიზნით მდინარე ინჯას ხეობიდან ავიდნენ, ლჰოცზეს აღმოსავლეთი მწვერვალის სამხრეთით ჩამომავალი ფერდობები შეათვალიერეს, მაგრამ ზემოთ ვეღარ ავიდნენ, რადგან ისინი დააფრთხო გადმოკიდებულმა მყინვარებმა, რომლებიც ყოველ წამს შეიძლებოდა გადმონგრეულიყვნენ. მათ სხვა მხრიდანაც დაზვერეს მწვერვალი და მოგვიანებით [illegible]

ზაფხულის მუსონებმა რომ გადაიარეს, ექსპედიციას [illegible] ბი ბრუნო შპირიგი, [illegible] რიკელები ჯორჯ ი. ბელი, ფრედ ბასკეი და რიჩარდ მაკ-გოვანი. მათ 16 სექტემბრიდან საიერიშოდ მართლაც სერიოზული სამზადისი გააჩაღეს. გადაწყვიტეს, იერიში დასავლეთის ცირკიდან მიეტანათ. მალე 6400 მეტრზე პირველი ბანაკიც გამართეს, კჰუმბუს ყინულვარდნილის გადასალახავად ისინი მოკლე თხილამურებს იყენებდნენ, მერე შნაიდერი და შპირგი ისე გათამამდნენ, რომ იმავე მყინვარზე პირველი ბანაკიდან საბაზოში თხილამურებით დაეშვნენ.

სექტემბრის ბოლოდან ამინდი გაფუჭდა. ბარაქიანი თოვა დაიწყო და ქარმაც იმძლავრა, რამაც წინსვლა შეაფერხა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ზემოთ მიიწევდნენ და უკვე 8 ოქტომბერს 7400 მეტრზე მეოთხე ბანაკი დადგეს და სწორედ აქედან გადაწყვიტეს მწვერვალზე პირველი იერიშის მიტანა. იქითკენ სენი და შპეპერი დაიძრნენ, მაგრამ სქელ და ახალ მშრალ თოვლზე სიარულმა შერპებთან ერთად მხოლოდ 7700 მეტრამდე ააღწევინა. მერე ისევ გაავდრდა და ქარბუქი ამოვარდა. 14 ოქტომბერს, როცა ცოტა გამოიდარა, სენმა და შპეპერმა 7600 მეტრზე კიდევ ერთი ბანაკი დადგეს. ეს წყვილი მწვერვალისკენ გადმწყვეტ იერიშზე მეორე დღეს დილის 7 საათზე გავიდა. თან მხოლოდ ორ-ორი ჟანგბადის ბალონი წაიღეს იმ იმედით, რომ პირველი გასვლისას ყვითელ თაროსთან დატოვებულ რვასაც ვიპოვითო, მაგრამ იქ ყველაფერი თოვლს დაეფარა და მათ ძებნაში დრო ამაოდ დაკარგეს. მეტი რა გზა ჰქონდათ, უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ სენი გაჯიუტდა, შპეპერს ჟანგბადის ბალონი გამოართვა და მარტო გაუდგა გზას. 8000 მეტრზე რომ ავიდა, მოულოდნელად სუნთქვა შეეკრა, თურმე ჟანგბადის აპარატურა გაფუჭებულიყო და იძულებული გახდა მასაც პირი ებრუნა. მეხუთე ბანაკში ჩასულმა სასუნთქი მოწყობილობა შეაკეთა, მაგრამ ხუთი დღე გამოდარების მოლოდინში ამაოდ დაშრა.

იყო მწვერვალზე ასვლის სხვა ცდებიც, მაგრამ უამინდობა უკან ახევინებდა მთამსვლელბს.

მომდევნო წელს, როცა შვიდი რვაათასიანი უკვე დალაშქრული იყო, შვეიცარიელები ჯომოლუნგმასკენ დიდი ექსპედიციით დაიძრნენ. მათ ექსპედიციას ჯომოლუნგმას ექსპედიცია ერქვა და მართლაც მასზე ასასვლელად გაემგზავრნენ, მაგრამ ლჰოცზეზე ამოჰყვეს თავი და ამ მწვერვალზე პირველამსვლელები გახდნენ, მერე დედამიწის უმაღლეს მწვერვალისკენაც გადაბარგდნენ...

მაგრამ, თუ როგორ მოხდა შვეიცარიელთა ასვლა ლჰოცზეზე და როგორ გასრულდა ჯომოლუნგმაზე მათი ასვლის ცდა, ამას ჩვენი რუბრიკის მომდევნო გამოშვებაში გიამბობთ.

ავთანდილ გურასაშვილი




ჯომოლუნგმაზე პირველამსვლელთა მარშრუტი (მარჯვნიდან პირველი) ლჰოცზეზე მიმავლებმაც გამოიყენეს

კხუმბუს მყინვარი




## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №12 (16-18 დეკემბერი)

| | | |
|---|---|---|
| 1. | მილანი — ტორინო | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. | იუვენტუსი — ინტერი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. | ბარი — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. | ნაპოლი — რომა | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. | ვალენსია — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. | ბარსელონა — სპორტინგი | ესპანეთის ჩემპონატი |
| 7. | რეალი — სელტა | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს 16 დეკემბერს 16.00 სთ-ზე.

№11 ტირაჟის შედეგები:

1. 0-0 2. 2-0 3. 2-1 4. 2-1 5. 3-1 6. 3-2 7. 3-1

მოგებები: ხუთი მატჩი — 84 ლარი (5 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 820 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1060 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან(ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, სამგორი და ახმეტელი.

ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი. მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი“ 11-დან 14 სთ-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოშველებული სიტყვა

# ლუვრის კარუსელში ბევრს თავბრუ დაეხვა

კარუსელი დარბაზია ლუვრში, იქ კი მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრა ჩატარდა. ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ორიოდ მსუბუქი სიტყვით ჩვენც შევეწეოდით.

უპირველესად გავიხსენოთ ერთი ძველი დიალოგი:

— შესძლებ ამას, იანეკ? ძნელია.

— შევძლებ. მთავარია, რომ ის არსებობს.

— რა?

— მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია.

თუკი რამ საუკეთესო შეუძლია თქვას ქართველმა ფეხბურთელმა წილისყრის შემდეგ, ალბათ სწორედ ობერ-ლეიტენანტ კლოსის ეს სიტყვებია. მაგრამ თქმა ერთია, დუმილი კი ოქროდ ჩანს. გაფიცულ პარიზელ ტაქსისტებს, ალბათ, დიდად არ ანაღვლებთ პაწია საქართველოს ბედი; არც ამაგდარ ჟიუსტ ფონტენს, რომელიც წილისყრის ცერემონიალზე მადამ ტიუსოს მუზეუმიდან გამოტანილ ფიგურას ჰგავდა; არც სხვებს, იქ რომ ტრიალებდნენ. არიგო საკი ხომ საერთოდ სიცილით მოკვდა, როს იხილა თავისი ჯგუფის შემადგენლობა.

ჭეშმარიტად რუსი უნდა იყო, რომ შეეყარო კვიპროსს, ლუქსემბურგს და ისრაელს, ანდა შვედი, რომ ეპაექრო აზირებულ სკოტებს, მთელს ბალტიისპირეთს და ბელორუსიას, ან რუმინელი, რათა შეება ისლანდიას, მაკედონიას, ლიხტენშტეინს და ლიტვას.

ხოლო თუ ქართველი ხარ, უნდა ებრძოლო იტალიას, ინგლისს, „პოლშას" და იმ ცხარე, ნისლიან მოლდოვას. ახლა ცნობილია, რომ ქალაქის სახელგანთქმულ პარკებში იტყვიან, ჩვენ ინგლისთან მარად მოგებულნი ვართო. იტალიასთან გაგვიჭირდება, პოლონეთი კი უნდა გადავხნათო.

ბურთი მრგვალია, ამასაც დაამატებენ. ეგებ ისევ მოხდეს, რომ გასკოინმა ჩვენს საპატივცემულოდ თმა შვინდისფრად შეიღებოს, რავანელიმ კი გლოვის ნიშნად შავი ფერის ქოჩორი დაიყენოს.

და მაინც, რუსის ბედი და ძაღლის ბედი ტოლია.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას კარგა ხანია მზერა პარიზისკენ აქვს მიპყრობილი, მაგრამ ჩვენი ილბალი რომ ვიცი, კიშინიოვში სწორედ მაშინ ჩამოწვება ნისლი, მოგებას რომ გადავწყვეტთ. ლონდონურ ნისლზე ხომ საერთოდ პოემები დაუწერიათ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის ძალზე სასიხარულო იქნება, თუ ინგლისის ნაკრებს „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელებით შეავსებენ. მათ ცალკერძ „ქინქისთან" მეგობრობით და მეორეკერძ დაღლარა დაცვის წყალობით იოლად ჩამოვიცილებთ.

რაც შეეხება იტალიას, ამ ქვეყანამ მოიგონა არწაგების და გაჭირვებით მოგების სისტემა — კატენაჩო და იმგვარი ძაღლ-უმადური სტილით „აფარჩაკებს" ხალხს, გული გაგისკდება.

და განა ჩვენ არა გვაქვს ალმაფრენის წუთები?

უკვე რამდენჯერ გვიკაკუკაცია. რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო გეტრფი, პარიზოო, ასე უნდა ითქვას. თორემ, თუ მოვყევით გეტრების სწორებას და ხელების შლას, ისე, როგორც ხშირად გვიქნია წარსულში, პარიზი მთლად მარსის სიშორეზე აღმოჩნდება.

მაინც რა იყო ეს, ა? საბერძნეთი მაინც დაგვეჯახებოდა, ან ჩეხეთი, ან ეს ძლეული ბულგარეთი, ან ფინეთი, ან კვიპროსი და სლოვაკია, ან ლიტვა და რალაც ასეთი, ფეხბურთთან შორიახლო მყოფი. ავრორას რომ ჩვენთვის არასოდეს უსვრია, კარგა ხანია ვიცოდი, მაგრამ ამ ტიალ მეორე ჯგუფში მოხვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ჩემპიონი და ორგზის ოთხეულის კავალერი, თან ჩვენთან ცუცურმა თამაშით გამორჩეული მოლდოვა — ზიმბრულთ ქვეყანა. ახლა კი ასეა, მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაციას პლუს მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია, უდრის პარიზს.

სხვანაირად: „ფრთხილად, კარები იკეტება. შემდეგი სადგური ტოკიო."

ბოგი ახვლედიანი





განახლების ზელანდიურმა გრიგალმა შეიწირა მწვრთნელი მეინსი (მარცხნივ) და თვით „ფიჭვიც" — ქოლინ მიდზი მოცელა

# მწვრთნელთა ორომტრიალი

**წინა ხუთშაბათს** მოხსნეს ზელანდიის რაგბის ნაკრებ „ოლ ბლექსის" მენეჯერი ქოლინ მიდზი, რომელიც დღესდღეობითაც ქვეყნის ყველა დროის უძლიერეს მორაგბედ მიაჩნიათ და ერი „ფიჭვად" იცნობს. მიზეზი ნაკრების ახალ მწვრთნელად ჯონ ჰართის დანიშვნაა. მიდზი წინა ჯერზე 1986 წელს დაითხოვეს, როცა ზელანდიელი „მხედრების" მეკობრულ ტურნეს უწინამძღოლა იმ დროს დაჯდაღებულ სამხრეთ აფრიკაში. მიდზამდე საკუთარი ნებით გადადგა ნაკრების მწვრთნელი ლორი მეინსი, ვინც „ოლ ბლექსი" მსოფლიო თასის ფინალში გაიყვანა.

**სამაგიეროდ**, მსოფლიოს ჩემპიონს — სამხრეთი აფრიკის „ქურციკებს" გაისადაც უხელმძღვანელებენ მენეჯერი მორნე დიუპლესი და მწვრთნელი ქიჩ ქრისთი. მსოფლიო თასის მოგების შემდეგ ამათ გუნდიდან წასვლა უნდოდათ, მაგრამ ჯერ წლის ბოლომდე დასარჩენად დაიყაბულეს, ამ სამშაბათს კი მთელი 1996 წლისთვისაც, რომლის განმავლობაშიც აფრიკას ეწვევა ზელანდია, თავად „ქურციკები" ესტუმრებიან არგენტინასა და საფრანგეთს, სამხრეთი აფრიკა, ზელანდია და ავსტრალია კი პირველად გაითამაშებენ სამხრეთი ნახევარსფეროს პირველობას.

აფრიკელებმა საშინაო კანონმდებლობაც განიმტკიცეს. ისინი ებრძვიან იმ მოხეტიალე ვარსკვლავებს, რომლებიც სეზონის ერთ ნახევარს ევროპაში, მეორე ნახევარს კი — ეკვატორს ქვემოთ თამაშობენ. ამგვარი ტენდენციის შესაფერხებლად აფრიკელებმა დაადგინეს, რომ მათ გუნდებს მაქსიმუმ ორი უცხოელის ყოლა შეუძლიათ, თანაც ვიდრე სტუმრებს თამაშის ნება დაერთვებოდეთ, მთელი 6 თვე (!) უნდა შეისვენონ. ამის შედეგად ცხადია, რომ ფრანგები — კაბანი, რუმა და ლაკრუა წლევანდელივით ვეღარ ილეგიონერებენ.

**მანუ სამოამ** წინა შაბათს ბრიტანული ტურნეს მორიგ მატჩში 31:16 დაამარცხა სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი. ამით სტუმრებმა დაასრულეს ინგლისის კუთხეებთან შეჯიბრი: ორს მოუგეს, ორთან კი დამარცხდნენ. ინგლის — სამოას ტესტი ხვალ გაიმართება თვიქნემში. სამოელებმა მისთვის ის თხუთმეტეული დაასახელეს, ვინაც ამ ერთი თვის წინ ტესტი ფრედ 15:15 დაუმთავრა შოტლანდიას. აი, ზღვისრეთელთა მეორე შემადგენლობამ კი სამშაბათს გეითსჰედში 0:55 წააგო ინგლისის მეორე ნაკრებთან.

**საკლუბო მატჩზე** დასწრების ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა ამ სამშაბათს, 12 დეკემბერს. თვიქნემში ოქსფორდისა და ქემბრიჯის უნივერსიტეტების 114-ე შერკინების სახილველად 71 ათასი ქომაგი შეიკრიბა. შარშანდელის დარად ახლაც ქემბრიჯმა მოიგო 21:19. გადამწყვეტი ლელო შუამარბმა ჯონათან ევანსმა ბოლო წუთზე გაიტანა. გამარჯვებულებს კაპიტნობდა ზელანდიელი სთივ ქოთრელი, ოქსფორდის გუნდი კი ტრადიციულად კოსმოპოლიტური იყო — თხუთმეტეულში ოთხ-ოთხი ინგლისელი, ირლანდიელი და სამხრეთაფრიკელი, აგრეთვე ორი კანადელი და ერთიც ფრანგი მოხვედრილიყვნენ.

**საფრანგეთის** ჩემპიონატში მორიგი დიდი ჩხუბი ატეხილა, რის გამოც მეტოქე მწვრთნელებს — ნაკრების ყოფილ შუამარბ მარკ ანდრიოს („ნიმი) და ტიერი ბელეის („პო") არათუ ოთხ-ოთხი თვით აუკრძალეს გუნდებთან მუშაობა, არამედ რვა კვირის მანძილზე რაგინდარა სპორტულ ობიექტზეც აღარ შეუშვებენ. მუშტი-კრივის დროს ნიმელ ჟან-კლოდ ლონგლადისათვის ცხვირი გაუტეხავთ და თანაც დაუნოკაუტებიათ.

იმავ ტურში, „აჟონ — „ნისის" მატჩის დამთავრებას 3 წუთი რომ ჰკლებია, ნაკრების 8 ნომერ ფილიპ ბენეტონს კვლავ მოუტეხია მარჯვენა მკლავი, რის გამოც საგაისო ხუთი ერის პირველობა გაუცდება.

ყაფლან ჯანდიერი



ჩემპიონმა „ქურციკებმა" ერთი წლითაც დაიტოვეს დიუპლესი (მარცხნივ) და ქრისთი



# არანტაზეც ეჭვი აქვთ

შტეფი გრაფისა არ იყოს, არანტა სანჩეს-ვიკარიოთიც დაინტერესებულა საგადასახადო სამსახური. ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოს" ცნობით, საფრანგეთისა და აშშ-ის ექს-ჩემპიონი თავს აცხადებს ანდორის მკვიდრად, რითაც თავისი ასტრონომიული ჰონორარებიდან ხელისუფლებას ფაქტიურად არაფერს უხდის. არადა, მთელს მსოფლიოში მოგზაური არანტა მშობლიურ ბარსელონაში მაინც უფრო ხშირადაა, ვიდრე ანდორაში, ეს კი შესანიშნავი საბაბია საიმისოდ, ინსპექციამ რომ ამტკიცოს, სანჩეს-ვიკარიო ნაღდი ანდორელი არააო!




## აქეთური, იქეთური

ბებერი ჯორჯ ფორმენი კარიერას დაასრულებს იქ, სადაც 1969 წლის ივნისში დაუწყია — ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში". 47 წლის ჯორჯი გაისად 29 თებერვალს კვლავ შეერკინება მაიკ მორერს, ვინაც შარშან ნოემბერში დაანოკაუტა და კრივის ისტორიაში უხუცესი მსოფლიო ჩემპიონიც შეიქნა. ჩხუბი საჩემპიონო არ იქნება, მაგრამ ფორმენს მაინც სოლიდური გასამრჯელო — 10 მილიონი დოლარი ერგება.

*

ატლანტის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საერთო ენა გამონახეს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან: მავანი ვირუსით დასნებოვნებულ ევროპელ ბედაურებს მაქსიმუმ ერთთვიან კარანტინს მოუწყობენ, სამჭიდში კი საერთოდ არ ასპარეზებენ, ვინაიდან ეპიდემიისა ეშინიათ.

*

გუშინ მონტეგუ-ბეიში (იამაიკა) მსოფლიოს 20 ცნობილი მეგოლფე ჩაებმებოდა ჯონი ვოკერის მსოფლიო ჩემპიონატში. შარშანდელ გამარჯვებულს, სამხრეთაფრიკელ ერნი ელსს 550 ათას დოლარ პირველ პრიზს შეეცილებიან ნიკ ფალდო (ინგლისი), ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია), ლიი ჯენსენი და მარკ კალკავეკია (აშშ), სემ თორენსი და ქოლინ მონთგომერი (შოტლანდია), თვით ჯონ დეილიც (აშშ), მაგრამ იმის გამო, რომ სეზონის ბოლოა და დასვენება სურთ, შეჯიბრში არ მონაწილეობენ ავსტრალიელები გრეგ ნორმანი და სთივ ელქინგთონი, ზიმბაბველი ნიკ პრაისი, ამერიკელი კორი პეივინი. ამათმა არყოფნამ სპონსორობაზე საბოლოოდ აუცრუა გული „ჯონი ვოკერს", ვისკის მხდელი შოტლანდიური ფირმა რომაა. გაისად მოსაძიებელია ახალი სპონსორი, წელს კი ოდენ მონაწილეობის გასამრჯელო 40 ათასი დოლარია.

*

დღეს „იუტა ჯაზის" წინააღმდეგ „ორლანდო მეჯიქის" შემადგენლობაში კვლავ ითამაშებს ნაოპერაციები შაკილ ონილი. გუნდმა უმისოდ გამართული 21 თამაშიდან 17 მაინც მოიგო. შაკილის დიდმა მეტოქემ, ჰიუსთონელმა აკიმ ოლაჯუონმა ოთხშაბათს 31 ქულა ჩაუგდო „საკრამენტო კინგზს" და ფარიდან ასხლეტილ ბურთსაც 15-ჯერ დაეუფლა. „როკიტსმა" 133:93 მოიგო.

*

ამერიკულმა ტელეკომპანია ენ-ბი-სიმ 2 300 000 000 დოლარი გადაიხადა, რათა ქვეყანას უჩვენოს ხუთი ოლიმპიადა: 2000, 2004, 2008 წლებისა, აგრეთვე 2002 და 2006 წლების ზამთრის თამაშები. ეკონომიკის ექსპერტები განაცვიფრა არა იმდენად თანხის სიდიდემ, არამედ იმან, რომ 2004, 2006 და 2008 წლების შეჯიბრებათა გამართვის ადგილი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჯერაც არ დაუდგენია.

*

ბომბეიში (ინდოეთი) სქვოშის „მაჰინდრას თასის" ფინალში შოტლანდიელმა პიტერ ნიკოლმა 15:8, 15:11, 15:10 დაამარცხა ინგლისელი კრის ვოკერი. ნახევარფინალში ბრიტანელებმა აჯობეს პირველ და მეორე ნომრებად განთესილ ავსტრალიელებს — აილსსა და მარტინს. დიდი პაკისტანელი ჯანშირ ხანი პოლიტიკური პრობლემების გამო შეჯიბრში არ მონაწილეობდა.

## ნუ გაგვწირავ, „აირ-ჯორჯიავ!"

ჭერი საერთო გვაქვს.

ჩვენც თქვენსავით საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის შენობასა ვართ შეკედლებული.

ჭირსა და ლხინშიც ერთად ვყოფილვართ მუდამ, სპორტის, კერძოდ კი რაგბისთვის თქვენს მიერ გაწეული ამაგი კი ძნელად თუ შეიწონება — ევროპისკენ არ გაგვიტევია, თქვენი მომსახურებით რომ არ გვესარგებლა, თანაც — სასწაულებრივ შეღავათიანად.

სხვაფრივაც ვგრძნობდით თქვენს სითბოს. მოგეხსენებათ, ამ სუსხიან და გაუთბობელ ზამთარში მორაგბეები დეპარტამენტის შენობაში მდებარე სამდარბაზიან სპორტკომპლექსში ვვარჯიშობთ. იქ შარშან ჩვენივე ხარჯით კეთილმოვაწყვეთ გასახდელი ოთახი, რომელიც ცხელი შხაპის წყალობით მთელი დედაქალაქის მორაგბეთა მიზიდულობის წერტილად [illegible] ლა: ვარჯიშით დაქანცული ბიჭები იქ იბრუნებენ სულს და თბებიან კიდეც.

რაც ზამთარი მოგვეძალა, დენის გამორთვაც გახშირდა. ასეთ დროს თქვენი გრანდიოზული დენის გენერატორი მართლაც რომ სულზედ მოსწრება იყო ჩვენთვის, მაგრამ ახლა შეგვიტყვია, რომ ჩვენთვის ხაზი გადაგიჭრევინებიათ. არადა, თქვენივე დენით თურმე კვლავაც თბებიან სხვადასხვა საორგანიზაციო პრობლემების გადაჭრას შეჭიდებული სპორტის დეპარტამენტის მუშაკთა სამუშაო კაბინეტები, რაც კიდევ ერთი დასტურია სპორტისადმი თქვენი ერთგულებისა.

ჩვენ რაღა დავაშავეთ? რომ ვივარჯიშებთ, ტანი როგორღა დავიბანოთ? ხომ თქმულა, უდენოდ არ გვექნება სითბო, [illegible]ოდ ვერ იქნება ვარჯიში, უვ[illegible]ბლად — გუნდები, უგუნდებოდ კი — რაგბი და გამარჯვებები!

ერთი სიტყვით, კვლავაც თქვენი შემწეობის იმედი გვასულდგმულებს.

სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის № 1 გასახდელით მოსარგებლე რაგბის გუნდები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29